# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 29 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 203 (6061)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## გამოსირაქლემებული ევროპა




**მოსკოვი საქართველოში ომს 2004 წლიდან ამზადებდა,** (8)

**ამაზე კი ევროპა თვალს ხუჭავდა**

**ამტკიცებს პუტინის ყოფილი მრჩეველი**



## კონტუზია რომ არ ჰქონოდა, სხვანაირად ისაუბრებდა? (2)

(3)

## „ასაცხრელები“

## სახელმწიფო პოლიტიკის ანარეკლი (4)

*ქართული ჯარი სრულიად დემორალიზებული იყო, მართვის სისტემა – მოშლილი, კავშირგაბმულობა არ არსებობდა, საჯარისო შენაერთების ნაწილებმა უკან დასახევი გზები არ იცოდნენ.*

*ჯარისკაცებს ურცხვად ატყუებდნენ, თითქოსდა ამერიკელები სამხედრო-საზღვაო, ასევე საზღვაო-საჰაერო ძალებით დაგვეხმარებოდნენ, ისინიც დაბნეულები კითხულობდნენ, კი, მაგრამ ამდენ ხანს სად არიანო?*

*ჩვენი სავალალო შეცდომა ომის საფრთხის გაუთვალისწინებლობა იყო.*



## „საქართველოს შეერთება რუსეთთან“

პირველად ქართულ ენაზე იბეჭდება ზურაბ ავალიშვილის პეტერბურგში საუკუნის წინათ გამოცემული ნაშრომი (5)



З. АВАЛОВЪ

ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ КЪ РОССІИ

## ხელისუფლება „პავლოვის ძაღლებივით“ გვიმეტებს? (9)

## ჰაიჰარად გაყიდული ენერგორესურსები და ოკუპირებული „თელასი“ (11)

**გაზი კიდევ გაძვირდება? კიო, გვაიმედებენ ექსპერტები**

ინფორმაცია

# კონტუზია რომ არ ჰქონოდა, სხვანაირად ისაუბრებდა?

**ქართველ სამშვიდობოთა სარდალი მამუკა ყურაშვილი ადასტურებს, რომ აგვისტოს მოვლენებისას მისი განცხადება კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის თაობაზე არავისთან ყოფილა შეთანხმებული.**

ამის შესახებ ყურაშვილმა აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებით საპარლამენტო კომისიის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ვითარება იყო ძალიან რთული და ბრძოლიდანაც ახალი გამოსული იყო. ამასთან, ჰქონდა კონტუზია და არც ბრიფინგი ყოფილა დაგეგმილი.

როგორც ყურაშვილმა აღნიშნა, მომზადებული რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, სხვანაირ განცხადებას გააკეთებდა.

მანვე დასძინა, რომ მისი მდგომარეობა მარატ კულახმეტოვმაც კარგად იცოდა და ამიტომ მისი განცხადება სერიოზულად არც მას აღუქვამს. შემდეგ კი, ეს საკითხი კულახმეტოვმა თემურ იაკობაშვილთან გადაამოწმა კიდეც.

ყურაშვილის განცხადების არასანქცირებულობის შესახებ უშიშროების საბჭოს მდივანმა კახა ლომაიამ ისაუბრა.

* * *

**მამუკა ყურაშვილი უარყოფს აგრეთვე ინფორმაციას აგვისტოში ესკალაციის დაწყებამდე რუსი სამშვიდობოების განადგურების შესახებ.**

დავითაია დაინტერესდა, შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს გავრცელებული ინფორმაცია, რომ რუსეთმა შეტევა დაიწყო, რადგან რუსი სამშვიდობოები განადგურებულნი იყვნენ.

— ეს ყველაფერი სიცრუეა, — განაცხადა დავითაიას საპასუხოდ მამუკა ყურაშვილმა.

* * *

**მამუკა ყურაშვილი მისი დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს.**

**დეპუტატები მისი ცხინვალიდან გამოსვლის თარიღისა და დაკავების შესახებ გავრცელებული ინფორმაციით დაინტერესდნენ.**

როგორც ყურაშვილმა განაცხადა, ცხინვალიდან ბრძანების მიღების შემდეგ, 10 აგვისტოს გამოვიდა, რის შემდეგაც გორში, სათადარიგო შტაბში იმყოფებოდა. გორი კი ყურაშვილმა 13 რიცხვში დატოვა.



სამშვიდობოთა სარდალმა უარყო ინფორმაცია მისი დაჭრის შესახებ და თქვა, რომ მხოლოდ კონტუზია ჰქონდა.

სარდლის განცხადებით, ცხინვალში ვითარების ესკალაცია მარტის თვიდან შეინიშნებოდა.

მისივე თქმით, ამ დროიდან იყო ბანდფორმირებების ცალკეული გამოხდომები, რასაც ცხინვალში უკონტროლო მდგომარეობა უძღოდა წინ.

ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ცხინვალში შედიოდა ტყვია-წამალი, შედიოდა ისეთი ხალხი, ვინც იქ კანონით არ უნდა ყოფილიყო და სხვა.

**ინტერპრესნიუსი**

მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!



**ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინათ გრიგოლ მგალობლიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა შეეცვალა. სწორედ ის სახელდებოდა ეკატერინე ტყეშელაშვილის შემცვლელად. მოულოდნელად მას პრემიერ-მინისტრის პორტფელს აბარებენ.**

შვიდ ნოემბრამდე თითქმის ერთი კვირით ადრე სააკაშვილმა ვლადიმერ გურგენიძე გადააყენა. ეს ცვლილება მხოლოდ ოპოზიციურ მიტინგს არ უკავშირდება. საქართველოს პრეზიდენტმა ახალი პრემიერის კანდიდატურა მაშინ გააჟღერა, როცა პარლამენტში აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისია მუშაობდა. ეს ოპოზიციის ინიციატივა იყო და პაატა დავითაიას თითქმის წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ გადასცემდა პრეზიდენტს იმ მინისტრების სიას, ვისი პასუხისმგებლობის საკითხსაც კომისია დააყენებდა, ანუ როგორ გადააყენებდა პრეზიდენტი კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად იმ მინისტრებს, ვისაც კომისია ვერდიქტს გამოუტანდა. ეს სააკაშვილის სტილი არ არის. თუმცა რა შუაშია აქ სააკაშვილი... ასე პრეზიდენტები არ იქცევიან. მათი უპირატესობა ინიციატივებია. პრეზიდენტმა, მით უფრო ასეთ ვითარების ფონზე, უნდა აჩვენოს, რომ ის ისევ აკონტროლებს და ფლობს სიტუაციას, რომ მას შეუძლია განახორციელოს ცვლილებები და რომ მას ამისთვის არავის კარნახი არ სჭირდება, მათ შორის არც საპარლამენტო ოპოზიციის. ალბათ, სწორედ ამის დემონსტრირება სურდა სააკაშვილს.

## ვლადიმერ გურგენიძის შეცვლა მხოლოდ ოპოზიციურ მიტინგს არ უკავშირდება

მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ცვლილებების განხორციელება შვიდ ნოემბრამდე მნიშვნელოვანია. ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს სიახლეები ახალ იმედსა და მოლოდინს აჩენს და, შესაბამისად, ელექტორატზეც მოქმედებს.

მაშ ასე, გადაწყვეტილება მიღებულია. ვლადიმერ გურგენიძე წავიდა და რიგით მეოთხე პრემიერი გრიგოლ მგალობლიშვილი ხდება.

უმცირესობასთან შეხვედრის დროს, სააკაშვილმა შენიშნა, რომ პრემიერის გადადგომა ერთობლივი გადაწყვეტილება იყო, განსაკუთრებული ქათინაურით ბატონი ვლადიმერი არ გაუცილებიათ. აი, ზურაბ ნოღაიდელის შემთხვევა მაინც გასაკუთრებული იყო. სააკაშვილმა წასვლის წინ მას არა მხოლოდ ხელი ჩამოართვა, არამედ ისიც თქვა, საქართველოს ასეთი პრემიერი კიდევ დიდხანს არ ეყოლებაო. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ნოღაიდელმა ვერ გაიგო, რატომ გახდა მისი წასვლა აუცილებელი მაშინ, როცა ბიუჯეტი ივსებოდა და ეკონომიკაც წინ მიიწევდა. ის ვერ მიხვდა, რომ პოლიტიკურმა ვითარებამ შარშან ნოემბრის მოვლენების ფონზე, სააკაშვილს ასეთი ცვლილებებისკენ უბიძგა. ვერ გაიგო და ვერ მიხვდა, ალბათ, იმიტომაც, რომ მას არასოდეს ჰქონია პოლიტიკური ამბიციები და პოლიტიკისგან ყოველთვის შორს იდგა.

ნოღაიდელს განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობები ჰქონდა დასავლეთთან. ამბობენ, რომ დასავლეთში კარგი იმიჯით სარგებლობს გრიგოლ მგალობლიშვილიც. თუმცა თბილისში მას ცოტა თუ იცნობს...

საერთოდ, სააკაშვილს აქცენტი ახალგაზრდებზე აქვს აღებული. პარლამენტის თავმჯდომარედაც დავით ბაქრაძე შეარჩია. ერთი მხრივ, პრეზიდენტი მათ ამით გამოცდილების მისაღებად და კარიერის გასაგრძელებლად დიდ შანსს აძლევს, თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი ფიგურები ადვილად მართვადები არიან. არა აქვთ საკუთარი ინტერესები და არ იბრძვიან გავლენებისთვის, არ ქმნიან გუნდებს და ამ გუნდს არც საკუთარი ინტერესებისთვის ხელისუფლებასთან „საგუნდაოდ“ იყენებენ. დავით ბაქრაძე ჭკვიანი ადამიანია, თუმცა გავლენები პარლამენტში არა აქვს. სავარაუდოდ, გავლენები ვერც გრიგოლ მგალობლიშვილს ექნება.

ასე რომ, ახლა მთავარია, რას ელიან ახალგაზრდა პრემიერისგან, ადამიანისგან, რომელსაც შეიძლება ძალიან საინტერესო დიპლომატიური გამოცდილება აქვს, მაგრამ ახლა ციფრებსა და ეკონომიკას უნდა ჩაუჯდეს. შესაბამისად, საინტერესოა, ვის რჩევებს გაითვალისწინებს ის და როგორი იქნება ეკონომიკური გუნდი.

**ქეთი ხატიაშვილი,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

პოზიცია

# გიორგი ხუციშვილი: თუ რუსეთს საომარი მოქმედებების დაწყების საბაბი მიეცა, კრემლი მას აუცილებლად გამოიყენებს

**საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობაზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორს გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო გიორგი, კონფლიქტის ზონებში და მათ ახლოს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ ვითარება ფეთქებადსაშიში რჩება. რამდენად რეალურია საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობა?**

— საომარი მოქმედებების დაწყება ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ ვითარება, რომლის პირობებში შესაძლებელია ინციდენტები და პროვოკაციები, ცუდის მომასწავებელი შეიძლება იყოს. რისკის ფაქტორი მაღალია, მაგრამ აგვისტოს მოვლენების განმეორებაზე საუბარი გადაჭარბებულია. ახლა მთავარია, რომ სიტუაცია ჩაწყნარდეს, არ უნდა იყოს ინციდენტები და ევროკავშირის დამკვირვებლებს უნდა მიეცეთ პირველ რიგში ახალგორსა და ზემო აფხაზეთში, შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა.

**— რასაც თქვენ ბრძანებთ, ქართული მხარის ინტერესში შედის, მაგრამ ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ დაპირისპირების მეორე სერიისათვის ემზადება და საქართველოზე სრული კონტროლის დამყარებას შეეცდება, თუნდაც კონფლიქტის ზონებში ვითარების პერმანენტულად დაძაბვით.**

— ასეთი გეგმები რუსეთს აგვისტომდე ჰქონდა, რათა საქართველოს ნატოში შესვლისათვის ხელი შეეშალა. რუსეთი აგვისტოში საომარი მოქმედებების დაწყებისათვის საბაბს ელოდებოდა. საქართველოს მთლიანად დასაკავებლად კრემლს საბაბი ჯერჯერობით



არა აქვს, ამიტომ ცალმხრივად არაფერს ისეთს არ მოიმოქმედებს, რომ გააფართოოს კრიზისის არეალი. თუ რუსეთს საომარი მოქმედებების დაწყების საბაბი მიეცა, კრემლი მას აუცილებლად გამოიყენებს.

**— ექსპერტთა ნაწილი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან უხეში ძალის გამოყენების მიზეზად რუსეთშივე არსებულ მწვავე ეკონომიკურ კრიზისს ასახელებს. მათი აზრით, შესაძლოა, რუსეთში არსებული ეკონომიკური კრიზისი აღმოჩნდეს რუსეთის გააქტიურების მიზეზი.**

— კი, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში ამის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან რისკის ფაქტორების მთლიანად მოხსნის საშუალება არ არსებობს.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ სოხუმისა და ცხინვალის მხრიდან საქართველოს მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების გახმოვანება აღმოჩნდეს საფუძველი საომარი მოქმედებების დაწყებისათვის.**

— საშიშროება არსებობს, მაგრამ ამის წინააღმდეგ ბერკეტების გამოყენება ქართულ მხარეზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ ცალმხრივად არ შეგვიძლია დავამყაროთ ისეთი კონტროლი, რომელიც საომარ მოქმედებას გამორიცხავს.

**— ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებანი სიამოვნებით გააგრძელებდნენ საომარ მოქმედებას. რა შეიძლება იყოს ამგვარი მოსაზრების საფუძველი?**

— არა მგონია, რომ ეს ასე იყოს, და იცით რატომ? იმიტომ, რომ რუსეთმა საქართველოში თავის მიზანს პრაქტიკულად მიაღწია, ისეთი კონფიგურაცია შექმნა, რომელიც მას დიდი ხანია სჭირდებოდა.

ახალგორში რუსული სამხედრო ბაზის განთავსებით, რუსეთის ჯარები თბილისთან საკმაოდ ახლოს იქნებიან. აქედან რუსეთს საკმაოდ დიდი ტერიტორიის გაკონტროლების საშუალება ექნება, ასეთივე მიზნებისთვის იქმნება სამხედრო ბაზა გალის რაიონში. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთმა თავის მიზნებს მიაღწია. საქართველოში საომარი მოქმედებების განახლება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ვითარება ქვეყანაში საერთოდ აირია. თუ საქართველოში იქნება სტაბილურობა, საომარი მოქმედებების დაწყებისაგან რუსეთი თავს შეიკავებს.

თუ ქართულმა მხარემ ტერიტორიების დაბრუნებაზე და რევანშზე ფიქრი დაიწყო, ეს აბსოლუტური უაზრობა იქნება. თუ ამაზე ვინმე სერიოზულად ფიქრობს, ფსიქიკურად შეშლილი უნდა იყოს. ახლა მთავარია ვითარების დასტაბილურება და სარკოზი-მედვედევის ექვსპუნქტიანი გეგმის შესრულება.

**კობა ბენდელიანი,**
**ინტერპრესნიუსი**

◎ თვალსაზრისი

# „ახაცჩელები“



**ყველამ კარგად იცის, რომ ზოგიერთი დაავადების პრევენციისთვის, აუცილებელი ღონისძიებაა აცრები, მაგრამ დაუდევრობის თუ უცოდინრობის გამო ხშირად აცრები არ ტარდება. ამის გამო დაავადება რთულ ფორმებს იღებს და უკვე სერიოზული სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება ხდება აუცილებელი.**

ჩვენი ხელისუფლება კარგა ხანია „ასაცრელია“, მაგრამ, სამწუხაროდ, მთავრობის „აცრები“, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს, ამიტომ თითქმის ყველა სფერო იმდენადაა დაავადებული, რომ საეჭვოა „ამბულატორიულმა მკურნალობამ“ რაიმე შედეგი გამოიღოს და მთავრობამ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, თუ „სტაციონალური მკურნალობით“ გადარჩა და „ქირურგიული ჩარევა“ არ გახდა აუცილებელი.

მთავრობის „დაავადებული ორგანოებიდან“, რომლებშიც ძალიან ბევრი „მეტასტაზია“ და რომელთაც მხოლოდ „სპეციალური ოპერაციები“ თუ უშველის, პირველ რიგში, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებია „მისახედი“.

კაცმა რომ თქვას, არც პარლამენტია „კოსმონავტივით ჯანმრთელი“ (თუ მის შემადგენლობას, „პოზიციიანოპოზიციანა“, კარგად ვნახავთ, სულ ცოტა „ვალიდოლი“ უნდა გვქონდეს მომარჯვებულიძ და არც კანცელარია (ეკონომიკის სამინისტროზე რომ არაფერი ვთქვაძ.

„აცრები“ ყველაზე სასწრაფოდ, ამ სამინისტროებში და მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებშია ჩასატარებელი, რადგანაც მათი ფუნქციონირება ბავშვებს, მათს მომავალსა და ჯანმრთელობას ეხება.

სამწუხაროდ, თითქმის ერთი წელიწადია, „პერმანენტული“ არჩევნებისა და საომარი მოქმედებების მიზეზით, არავის არ „ეცალა“ ამ სამინისტროებში არსებული იმ შიდა პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც უკვე იძლევიან საკმაოდ სერიოზულ და სავალალო შედეგებს.

დავიწყოთ „განათლებით“.

კახა ლომაიას გია ნოდიათი ჩანაცვლებამ თავიდანვე ვარაუდი წარმოშვა, რომ ქართული განათლების სისტემის ნგრევა იმავე ტემპით გაგრძელდებოდა, ოღონდ შედარებით ნაკლებად აგრესიული ფორმებით.

რა თქმა უნდა მისასალმებელია, რომ ერთ-ერთი ბოლო სახელისუფლებო კრიზისის დროს, სააკაშვილმა ქართველი მეცნიერების დასაფასებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა, მაგრამ ყველასთვის ნათელია, რომ ასეთი დაფასება კამპანიური ხასიათისაა და მხოლოდ კრიზისის დროს იყო აუცილებელი.

იმ უამრავ პრობლემას შორის, რომლებიც განათლების სისტემაშია, ყველაზე დიდ პრობლემას საშუალო განათლება წარმოადგენს, ხოლო ამ „რგოლში“ ყველაზე „დაავადებული“ ადგილი, რომელიც უკვე „აცრებით“ ველარ განიკურნება, სკოლების დირექტორების საკითხია.

ღმერთმა დამიფაროს, რომ ვერ ვხედავდე ზოგიერთი სკოლის დირექტორის მაღალ პროფესიონალიზმს და ბავშვებისადმი დამოკიდებულებას (მით უმეტეს, რომ ბევრ მათგანს პირადად ვიცნობ და იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ ისინი მართლაც კარგად აღზრდიან ჩვენს შვილებსძ, მაგრამ ჩემი დღევანდელი წერილი სკოლების იმ ე.წ. „ხელმძღვანელებს“ ეხება, რომლებიც მშობლებსა თუ მოსწავლეებში „უთოფო ყაჩაღების“ მეტსახელს ატარებენ.

ასეთი დირექტორები მრავლად მოიძებნებიან ჩვენს სკოლებში და სამინისტროს უნიათობისა, თუ რაიმე სხვა, „უნიათობაზე“ უფრო „მძიმე“ მიზეზის გამო საკმაოდ „თბილად“ გრძნობენ თავს.

როგორც განათლების სფეროს წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად გავარკვიე, დღევანდელი განათლების სისტემის „შემოქმედთაგან“ ერთობ საოცარი ნაბიჯია გადადგმული, საჯარო სკოლის ფუნქციონირების შესახებ კანონის მიღების დროს. თუ საჯარო სკოლის ყველა ინსტიტუტი ამ კანონის მიხედვით იმუშავებს, სკოლაში იდეალური წესრიგი და სწავლისთვის ნამდვილად შესაფერისი გარემო იქნება.

სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, პროფკავშირის, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოსა და სადისციპლინო კომიტეტის უფლება-მოვალეობანი საკმაოდ ზღუდავს დირექციის ქმედებებს და ნორმალური ფუნქციონირების შემთხვევაში, ჩანასახშივე სპობს კორუფციისა თუ თვითნებობის ყოველგვარ გამოვლინებას.

მაგრამ დანაშაულებრივად გამოყენებული „გუნდური მუშაობის პრინციპის“ საშუალებით, ზოგიერთი დირექტორი თავისი „სასურველი ხალხით“ აკომპლექტებს ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებს და საკმაოდ „ნაყოფიერად“ ახერხებს სკოლის არამც თუ საფონდო ბირჟად გადაქცევას, არამედ ისეთი „რეჟიმის“ დამყარებას, რომელიც სკოლისთვის კი არა, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებისთვისაც მიუღებელია.

მასწავლებელთა და მშობელთა უმრავლესობა კარგად არ იცნობს მოქმედ კანონმდებლობას (მათ ეს არც მოეთხოვებათძ, მაგრამ ისინი, ვინც იციან თავიანთი უფლებები, „პირში წყლის ჩაგუბებას“ ამჯობინებენ, რადგანაც მათ არც სამინისტროსა და არც სასამართლოს იმედი არა აქვთ.

ფაქტობრივად არ არსებობს კორუმპირებული დირექტორის დასჯის არც ერთი შემთხვევა, არ არსებობს აღძრული სისხლის სამართლის საქმეების ბოლომდე მიყვანის არც ერთი პრეცედენტი და სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილებები ხშირად საკმაოდ გაურკვეველი აზრის მატარებელია.

რომელიმე სულსწრაფი მკითხველი იკითხავს: ზოგიერთი მოსახსნელად გამზადებული ჩინოსანივით მარტო ზოგად ფრაზებს რომ „გვაფრქვევ“ და ამბობ „თავის დროზე ვიტყვი ყველაფერსო“, ერთი დირექტორი მაინც დაგვისახელე და გვითხარი რას სჩადის ასეთს ის კაციო.

კი ბატონო, ახლავე მოგახსენებთ.

ერთ-ერთი ასეთი დირექტორი (იმ მრავალთაგან, რომელთა შესახებ, სამწუხაროდ, საზოგადოების მცირე ნაწილმა იცისძ № 70-ე სკოლის დირექტორი, ბატონი გია უთურაშვილია.

ამ შემთხვევაში ნამდვილად არ არის საინტერესო, მისი როგორც პედაგოგის პროფესიონალიზმი, გაკვეთილის ახსნისა, თუ გამოკითხვის მისეული სტილი, უბრალოდ საინტერესოა მისი მიდგომა „თანამედროვე საბაზრო პრინციპებისადმი“ და ის „წვლილი“, რაც მას შეაქვს ქართული „ეკონომიკის აღმავლობის საქმეში“.

როგორც ცნობილია, 70-ე სკოლაში, ჩვეულებრივი სასწავლო დაწესებულების გარდა „წარმატებით“ ფუნქციონირებდა **აბანო, ლიმონათის საამქრო, პურის საცხობი და ავტოსადგომი.**

ვერაფერს იტყვი, ნამდვილად „სწორი მიმართულებაა“. სწავლისგან დაღლილი ბავშვი ცხელ პურს შეჭამს, ლიმონათსაც დააყოლებს და თუ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული უაზრო „ფუთიანი“ წიგნების ტარებით გაოფლიანდა, წყალსაც გადაივლებს. ავტოსადგომი კი ვის რას უშავებს. იყოს რა? სადგომია, ტრეკი ხომ არა.

ე.წ. „მკვდარ სულებზე“ და სკოლის თანხების არამიზნობრივად ხარჯვაზე რომ არაფერი ვთქვა (პრინციპში ახალს ვერაფერს ვიტყვი, ეს ხშირ შემთხვევაში „ჩვეულებრივი მოვლენაა“ძ, „სკოლის შინაგანაწესი“ თუ „კოდექსი“, ნამდვილად გამოადგება მომავალ „ციხეების მინისტრს“ (გთხოვთ ზემოთ ნახსენები „მკვდარი სულები“, გოგოლის „მკვდარ სულებში“ არ აგერიოთ. აქ სულ სხვა, თანამედროვეობისთვის უფრო მისაღები სისტემაა „დანერგილი“ძ.

ამ „კოდექსით“ ფინანსურად „რეგულირდება“ ბავშვების „თვითნებობა“ და „დანაშაულად“ აღქმული სხვადასხვა გადაცდომა.

ბავშვთა მიერ ჩადენილ „გადაცდომებად“, რომლებიც „დანაშაულის“ ხარისხშია აყვანილი და ფულადი ჯარიმებით ისჯება, ითვლება „მობილური ტელეფონის ტარება-გამოყენება, ფარდის ჩამოხევა, კედელზე ნაკაწრები, კარის საკეტის დაზიანება“ დ.სხვ.

ცხადია, სხვადასხვა სახის „დანაშაულს“, სხვადასხვა „ტარიფი“ აქვს.

მაგალითად: მუხლი – 18 „თვითნებობა“: გაკვეთილის თვითნებურად დატოვება – 5 ლარი. განმეორების შემთხვევაში – 10 ლარი (მე მგონი ეს მუხლი დასახვეწია, რადგანაც არ არის მითითებული, ერთი გაკვეთილის ორჯერ გაცდენა ისჯება 10-ლარით, თუ ორი სხვადასხვა გაკვეთილის გაცდენაც „დამამძიმებელი გარემოებაა“. ასევე არ არის მითითებული ისიც, რომ განმეორებად ერთ დღეს გაცდენილი გაკვეთილები ითვლება, თუ ორ სხვადასხვა დღესძ; ჯგუფური „შატალო“ – ბავშვზე 30 ლარი (ეს მუხლი კი ნამდვილად მოდის „შესაბამისობაში“ სისხლის სამართლის კოდექსთან. ჯგუფური დანაშაული დამამძიმებელი გარემოებააძ; მობილური ტელეფონის დაბრუნება – 10 ლარი (ჩემის აზრით, ეს მუხლიც დასახვეწია. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ტელეფონის მარკა და მოდელი. აბა რა წესია, როცა უბრალო „მოტოროლას“ და მესამე თაობის მფლობელები ერთნაირად ისჯებიანძ.

სამწუხაროდ, ამ „კოდექსში“ ნახსენები არ არის „საპროცესო გარიგება“. ვერ გეტყვით, არის თუ არა პრაქტიკაში, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ თუ არ არის, მალე „ამოქმედდება“.

პრინციპში სულაც არ არის გასაკვირი, ასეთი „ღონისძიებების“ არსებობა იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის 45 პროცენტი, სხვადასხვა სახის ჯარიმებით ივსება.

ნამდვილად არ არის საჭირო დაწვრილმანება და 70-ე სკოლაში მიმდინარე „მოვლენების“ დეტალურად აღწერა. მით უმეტეს, რომ ჩვენს გაზეთში უკვე ვწერდი ამ სკოლის შესახებ. წერილს სხვადასხვა სტრუქტურიდან გარკვეული ნაბიჯებიც მოჰყვა, მაგრამ როგორც ამ ქვეყანაშია მიღებული, სხვადასხვა „სუბიექტური, თუ ობიექტური“ მიზეზის გამო, დაწყებული „ძვრები“ არანაირი შედეგით არ დამთავრდა.

იხ. 7 გვ.

◎ საჯარო განხილვა

# სახელმწიფო პოლიტიკის ანარეკლი

***დამოუკიდებელ** ექსპერტთა კლუბის მეორე საჯარო განხილვა არათუ უაღრესად საჭირბოროტო, არამედ ისეთ ყველაზე აქტუალურ საკითხს მიეძღვნა, როგორიცაა „საქართველოს ჯარი 2008 წლის აგვისტომდე, აგვისტოში და აგვისტოს შემდეგ“. განხილვას ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** უძღვებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ მწვავე საკითხის საჯარო განხილვის თავად ფაქტი, უწინარესად, იმ ვაჟკაცთა დამსახურებაა, ვინც ცდილობდა, რომ დამარცხება ქვეყანას არ ეწვნია. მისი მოწოდებით დამსწრეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას. სოსო ცისკარიშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პირველი საჯარო განხილვისგან განსხვავებით, რომელიც, როგორც მკითხველს, ალბათ, ახსოვს, ეროვნული ეკონომიკის სადღეისო მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებს მიეძღვნა, მეორე თავყრილობას ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ ცნობილ პოლიტიკოსებთან, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად. საჯარო განხილვაში მონაწილეობა მიიღეს **ირაკლი სესიაშვილმა, გია ყარყარაშვილმა, კობა ლიკლიკაძემ, გიორგი თავდგირიძემ** და **ვახტანგ მოსიამ**.*

– ჩემთვის დიდი პატივია დამსწრე საზოგადოებრიობის წინაშე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ლაპარაკი, როგორებიცაა ქვეყნის თავდაცვა და უსაფრთხოება, – აღნიშნა გამოსვლისას დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრმა **ირაკლი სესიაშვილმა.** – ახლა ყველანი წლევანდელი აგვისტოს მოვლენებს ვაანალიზებთ, მაგრამ ვიდრე ეროვნული ჯარის ხელახალ აღმშენებლობას დავიწყებდეთ, ჩემი აზრით, აუცილებელია ვნახოთ, თუ რა საძირკველი აქვს, ასე ვთქვათ, ჩვენი ჯარის შენობას.

ორატორის თქმით, ომი 8 აგვისტოს კი არა, გაცილებით ადრე დაიწყო და მისი წაგების მიზეზი შეცდომათა ერთობლიობაა, მათი ერთგვარი კომპლექსი. 2004 წლიდან მოყოლებული, როცა ქართული ჯარის მშენებლობა პრიორიტეტად გამოცხადდა, მას შემდეგ, ვიდრე 2008 წლამდე, ამაზე რამდენიმე მილიარდი ლარი დაიხარჯა, თუმცა ამან მარცხისგან მაინც ვერ გვიხსნა.

მიზეზთა განხილვისას ირაკლი სესიაშვილი სამართლებრივი დოკუმენტების და პროცესების გაანალიზებას მიყვა, რომელთაგან პირველი წლების მიხედვით სამხედრო ბიუჯეტის მიმოხილვა იყო. კერძოდ, **2004 წელს თავდაცვის უწყების ბიუჯეტი იყო 174 მილიონი ლარი, 2005 წელს – 369 მილიონი ლარი, 2006 წელს – 689 მილიონი ლარი, 2007 წელს – დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარი, ხოლო 2008 წელს კი ამ ციფრსაც გადააჭარბა.** ბატონმა სესიაშვილმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ასევე თავდაცვის სამინისტროში საკადრო პოლიტიკის საკითხზე. კერძოდ, 2004 წელს ამ უწყების ხელმძღვანელი პირველად გახდა სამოქალაქო პირი დავით თევზაძე. შემდეგ ახალი მინისტრი გელა ბეჟუაშვილი სამინისტროს სულ სამი თვის მანძილზე უძღვებოდა, მისი მომყოლი გია ბარამიძეც სამინისტროს რამდენიმე თვეს ხელმძღვანელობდა, შემდეგ იყო ირაკლი ოქრუაშვილი, ახლა სათავეში დავით კეზერაშვილი უდგას. ამრიგად, 2004-2008 წლებში სამხედრო უწყების ხელმძღვანელი ოთხჯერ შეიცვალა, რის შედეგად სამინისტროს სამოქალაქო ოფისის შემადგენლობა ყოველ ჯერზე, ფაქტობრივად, მთლიანად იცვლებოდა, ყველა ახალ მინისტრს თავისი „გუნდი“ მოჰყავდა. ამავე ხნის მანძილზე შეიარაღებული შტაბის გენერალური შტაბის უფროსი ხუთჯერ შეიცვალა, რასაც, თითქმის ავტომატურად მიყვებოდა სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელობის გამოცვლაც, 2005 წლიდან მოყოლებული კი ჯარიდან ორი ათასი ოფიცერი დაითხოვეს, ვინც უფროსების სამეგობრო წრის წარმომადგენლობამ შეცვალა. **ახლა სამხედრო ქვედანაყოფებს ხშირად ის ხალხი მეთაურობს, ვისაც არანაირი სამხედრო განათლება არა აქვს, ხოლო მრავალი სამხედრო ეგრეთ წოდებული „რეფორმა“ უფრო დედაქალაქში სახლების ფასადების შეღებვას ჰგავდა, ვიდრე საქმის ჭეშმარიტ კეთებას.** ომამდე სულ ერთი თვით ადრე თანამდებობიდან გაათავისუფლეს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი, ასევე რამდენიმე სამხედრო ქვედანაყოფის მეთაური.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ჯარის რიცხოვნობა – 28-დან 37 ათასამდე, ხოლო კონტრაქტის მომსახურეთა რიცხვი – მხოლოდ 7 ათას კაცამდე, თუმცა სამხედრო ბიუჯეტი მთლიანად ჯარის ამ სისტემაზე გადაყვანის საშუალებას იძლეოდა. ამასთან ფული სრულიად უაზროდ გაიხარჯა რეზერვისტთა მომზადებაზე.

იხ. 4 გვ.

საჯარო განხილვა

# სახელმწიფო პოლიტიკის ანარეკლი



(მესამე გვერდიდან)

მართალია, მოხდა სამხედრო ტექნიკის გარკვეული მოდერნიზაცია, მაგრამ ყიდულობდნენ ძირითადად მოძველებულ საბჭოურ იარაღს, რაც საჭირო საბრძოლო ეფექტიანობას ვერ უზრუნველყოფდა. ცალკე საკითხია ქვეყნის სამხედრო პოლიტიკა, კერძოდ, 2012 წლისთვის 100 ათასი რეზერვისტი უნდა გვყოლოდა, თუმცა აქცენტი ამ საქმეში გაკეთდა არა მათი მომზადების ხარისხზე, რისთვისაც 18 დღე აშკარად არასაკმარისია, არამედ რიცხოვნობაზე.

საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ბიუჯეტი ლამის სახელმწიფო საიდუმლოდაა გადაქცეული. მართალია, სამხედრო უწყება პარლამენტს გარკვეულ ინფორმაციას აწვდის, მაგრამ ესეც მოჩვენებითი ხასიათისაა. დასკვნა კი ის არის, რომ **„ჯარი სახელმწიფო პოლიტიკის ანარეკლია“**, — დასძინა ბატონმა სესიაშვილმა, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ პარლამენტის წევრები სამხედრო პოლიტიკის განსაზღვრის მაგივრად სრულიად უაზროდ ერეოდნენ სამხედრო შესყიდვების, ასევე ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხებშიც კი, ხოლო სამხედრო უწყების მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობა, ფაქტობრივად, მანამდეც ნოლის ტოლი იყო და ახლაც ასეა. **გარდა ამისა, სრულიად გაურკვეველია, ჩვენ ომისთვის ვემზადებოდით, თუ ნატოს სტანდარტების შესაბამისი ჯარის შექმნას ვცდილობდით.**

მან მიმოიხილა არა ის, თუ ვინ და რატომ დაიწყო ომი, არამედ ის, თუ **რამდენად მზად აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა, პირველ ყოვლისა სახელმწიფო სტრუქტურები ომისთვის.** მისი აზრით, ძირშივე მცდარია აზრი, თითქოსდა ომი რუსეთთან გარდუვალი, ხოლო მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ბატონმა სესიაშვილმა განაცხადა, რომ **თავდაცვისა და უსაფრთხოების სათანადო დოკუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ შეიარაღებული კონფლიქტისთვის მზად არ ვიყავით, ასევე მზად არ ვიყავით ავიაშეტევების მოსაგერიებლად, ხოლო მეორე უდიდესი შეცდომა იყო აფხაზეთის ფრონტის სრული მოშიშვლება, კოდორის ხეობა სეპარატისტებმა ხუთი ვერტმფრენით აიღეს, იქ არც ერთი ტყვია არ გავარდნილა.**

**თავდაცვის უწყების, მთელი ქვეყნის მთავარი ზარალი მაინც დაღუპული ჯარისკაცებია, თუმცა არც სრულიად განადგურებულ-გაპარტახებული სამხედრო ბაზები, უაზროდ დახარჯული ფინანსური სახსრები და ქვეყნისათვის მიყენებული მორალური ზარალი უნდა დავივიწყოთ ყველამ.**

**გია ყარყარაშვილი** თავის გამოსვლაში შეეხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ომამდე და ომის დროს შექმნილ ვითარებას. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ 2004 წლიდან მოყოლებული, როცა საქართველომ ეკონომიკურად მომძლავრება დაიწყო, რასაც შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაზე, ტერიტორიულ გამთლიანებაზე მოჰყვა ზრუნვა. არადა სამხედრო ფაქტორის გაძლიერებასთან ერთად **აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ ერთ დაშვებულ შეცდომასაც კი სამხედრო აგრესიის გამოწვევა შეეძლო.** თუკი 2003 წლამდე საქართველოსთვის საფრთხე ჩრდილოეთ კავკასიელთა მხრიდან უფრო იყო, მას შემდეგ, რაც 2004 წლიდან მოყოლებული რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობა ეტაპობრივად ისე გაუარესდა, რომ 2008 წელს ღია კონფრონტაციამდე მივედით. ომებიც, თავდაპირველად, სწორედ ასე იწყება: მოურიდებელი განცხადებებით, ფსევდოეროვნული რიტორიკით, სავაჭრო ურთიერთობებისა და სამგზავრო მიმოსვლის შეზღუდვით, ჯარების თვითნებური გადაადგილებებით, კონფლიქტების ზონებთან ახლოს, ანდა, სულაც, ამ ზონებში გამართული სამხედრო წვრთნებით და ა. შ. 2008 წლის აგვისტოში ჩვენ, სამწუხაროდ, სიფრთხილე დავკარგეთ, თუმცა სამაჩაბლოს მიმდებარე ტერიტორიების სამხედრო ძალით გაძლიერებას ბატონი ყარყარაშვილი შეცდომად არ მიიჩნევს. 2 აგვისტოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თუკი მოწინააღმდეგე თუნდაც ერთ ტყვიას გაისვრის, ჩვენც ვუპასუხებთო, არადა მოპირდაპირე მხარე ჩვენს საბრძოლო მოქმედებებში ჩათრევას ისედაც ცდილობდა, ხოლო ქართველებმა ავტომატებიც არ ვიკმარეთ და ოსების წინააღმდეგ არტილერია გამოვიყენეთ. შემდგომ ბატონმა ყარყარაშვილმა მიმოიხილა ხუთდღიანი ომის მიმდინარეობის პერიპეტიები, და, მათ შორის, ხაზგასმით აღნიშნა, რომ **ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ქართული საჯარისო შენაერთები სრულიად აკონტროლებდნენ ცხინვალს, მტკნარი წყლის სიცრუეა, სრული დეზინფორმაცია. სინამდვილეში ქართულ ჯარს მხოლოდ „შანაჰაიად“ წოდებული ერთი ციდა გარეუბანი ჰქონდა დაკავებული. ჩვენი შინაგან საქმეთა სპეცნაზი გაფრთხილებული იყო, რომ რუსეთის მშვიდობისმყოფელთათვის არ ესროლათ და ვიდრე ეს ბრძანება სრულდებოდა, რუსებიც კონფლიქტში არ ჩარეულან, მაგრამ მათი ჯარისა და ჯავშანტექნიკის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა ცხინვალის დაბომბვის შემდეგ, ასევე მშვიდობისმყოფელთა საგუშაგოს განადგურების შემდეგ დაიწყო, რომელთა მსხვერპლიც გორის სატანკო ბატალიონის სინდისზეა.** ცხინვალის აღება (სურვილის დონეზე, ცხადია) ნაციონალური მოძრაობის პარტაქტივმა გადაწყვიტა და იქ ორი ავტომანქანა დროშაც კი გაგზავნეს, მომავალში მიტინგის „გასაფორმებლად“.

**ამასთან, გია ყარყარაშვილმა ასევე განცხადა, რომ მისი გადაუმოწმებელი ინფორმაციით, რუსეთის მშვიდობისმყოფელთა მეთაურთან გენერალ კულახმეტოვთან ფარული „საქმიანი“ გარიგება იყო, თითქოს ქართველთა მიერ ცხინვალის აღების შემთხვევაშიც კი რუსები კონფლიქტში არ ჩაერეოდნენ,** თუმცა, როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, ეს თვალთმაქცობა იყო. ამის დამადასტურებელი თუნდაც ის არის, რომ მოსახლეობა ქალაქიდან ადრევე გაიხიზნა, კორპუსებში კი... რუსი სნაიპერები იყვნენ ჩასაფრებულნი, მოკლედ, ცხინვალი თავდაცვისთვის მზად იყო და ხაფანგად ექცა ქართულ ჯარს.

**დიდი ლიახვის ხეობა ჩვენმა ჯარმა და სცეპნაზმა 9-ში დილის 7 საათზე ისე დატოვა, მოსახლეობა არც გაუფრთხილებიია. ხალხმა ეს რომ დაინახა, თავად დაიწყო სახლების სასწრაფოდ დატოვება, თანაც რუს მშვიდობისმყოფელთა ჩეჩნების ოცეულმა ისინი გააფრთხილა გარდუვალი საფრთხის მოახლოების თაობაზე, თავად კი ერთი ტყვიაც არ გაუსვრია.**

გია ყარყარაშვილმა აგრეთვე ისიც აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ სამხედრო-პოლიტიკური შეცდომა თავშივე დაუშვა, თორემ როკის გვირაბიც რომ არ ყოფილიყო, რუსეთი ჯარს საქართველოში თუნდაც ზღვით, ფოთიდან შემოიყვანდა. მართალია, 9 აგვისტოს სამსაათიანი მორატორიუმი გამოცხადდა დაჭრილ-დახოცილთა გამოსაყვანად, მაგრამ ეს, ფაქტობრივად, ჰუმანური აქციის მცდელობის სურვილი იყო. **ქართული ჯარი სრულიად დემორალიზებული იყო, მართვის სისტემა — მოშლილი, კავშირგაბმულობა არ არსებობდა, საჯარისო შენაერთების ნაწილებმა უკან დასახევი გზები არ იცოდნენ. რაღას უნდა დალოდებოდნენ, თუ არა რუსეთის ბომბდამშენების სამიზნეებად გადაქცევისას?** ქაოსმა იმ დონეს მიაღწია, რომ ორი — მე-4 და მე-5 ბრიგადა დაღუპულიც კი ეგონათ, თუმცა ჯარისკაცებმა ავიადაბომბვებს თავი თავადვე დააღწიეს...

ჟურნალისტმა **კობა ლიკლიკაძემ** დამსწრეთ ის შთაბეჭდილებები გაუზიარა, რომელიც იმ ავადსახსენებელ აგვისტოში ხუთდღიანი წარუმატებელი ომის დროს მიიღო. თავდაპირველად მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის ცოტა ხნისწინანდელი განცხადება იმის თაობაზე, თითქოსდა „ევროპამ მიგვატოვა“, სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანის მცდელობა, ვინაიდან ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა სამშვიდობო გეგმა ჩამოიტანა, რომლის შესაბამისად **ჩვენ ჯარს ერთი ტყვიაც არ უნდა გაესროლა...**

— გორში 8 აგვისტოს დილას ჩავედი და პირველი, ვინც პრესცენტრის შენობის წინ ვნახე, თბილისის მერი გიგი უგულავა იყო, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენი ჯარი ცხინვალს აკონტროლებდა და ცოტა ხანში ეს გარემოება პოლიტიკურადაც გაფორმდებოდა, თუმცა ამან ჩემში ეჭვი აღძრა და როცა რამდენიმე ნაცნობ საჯარისო შენაერთის უფროსს დავუკავშირდი, მათ სულ სხვა სურათი დამიხატეს, — აღნიშნა ბატონმა ლიკლიკაძემ.

მან ისიც თქვა, რომ ეს საქართველოს ყველაზე მწარე დამარცხება იყო ბოლო 17 წლის მანძილზე, რომლის მსგავსი სოხუმის დაცემაც კი არ ყოფილა. იმ დღეებში ტყეებიდან მეთაურების მიერ მიტოვებული შენაერთები თავისით გამოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფრონტისპირა გორში სამი სამხედრო სტრუქტურა იყო დაბანაკებული, ქალაქში კომენდანტის საათიც არ გამოცხადებულა, სასწრაფო დახმარება და საპატრულო პოლიციაც კი თავის უშუალო მოვალეობას არ ასრულებდა, იყო სრული დეზინფორმაცია, რამაც ქართული ჯარი შიგნიდან გამოღრღნა: **ჯარისკაცებს ურცხვად ატყუებდნენ, თითქოსდა ამერიკელები სამხედრო-საზღვაო, ასევე საზღვაო-საჰაერო ძალებით დაგვეხმარებოდნენ, ისინიც დაბნეულები კითხულობდნენ — კი, მაგრამ ამდენ ხანს სად არიანო? გორის პრესცენტრში კი კაცმა არ იცოდა, თუ ფრონტის ხაზზე რა ხდებოდა, ხელისუფლების წარმომადგენლები ერთ ტყუილს მეორეს უმატებდნენ, რასაც ჟურნალისტების სიცოცხლე შეეწირა.** ომის მსვლელობისას არც ერთ სამხედრო ხელმძღვანელს ბრიფინგი არ გაუმართავს, ახლა კი აცხადებენ, თითქოს საქართველომ მოუგო რუსეთს საინფორმაციო ომი, თუმცა ტელეარხები მხოლოდ ხელისუფლებისთვის მისაღებ რეჟიმში მუშაობდნენ, დანარჩენ დროს კი კონცერტებსა და ლათინოამერიკულ იდიოტურ სერიალებს გადასცემდნენ. ახლა კი პოლიტიკოსები ყველაფრის გადაბრალებას სამხედროებზე ცდილობენ.

თავის გამოსვლაში **გიორგი თავდგირიძე** საქართველოს ომისშემდგომ პერსპექტივებს შეეხო და აღნიშნა, რომ სამხედრო ძალების ჩამოყალიბება მავანთა ექსკლუზიური უფლება არ უნდა იყოს. 2008 წლისთვის საქართველოს ჯარი თითქოს ჰყავდა, რეზერვისტებიც, თუმცა, რეალობამ დაგვანახა, რომ ვერც ერთმა ვერ გვიშველა და ვერც მეორემ, სამხედრო ძალას კი აღჭურვაც კლებია და ორგანიზებაც. **„აგვისტოს ხუთდღიანი ტესტი“, სამწუხაროდ, ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა და, რაც აღმაშფოთებელია, სარდლობამ, სამარცხვინოდ „ჩააფლავა“. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჯარის აღჭურვა და მომზადება ომის ხასიათის შესაბამისი არ იყო.** ასევე სამხედრო ვითარების შესაბამისი არც უსაფრთხოების კომპონენტი იყო, რომელსაც სამხედრო კომპონენტი უნდა ემართა. ბატონმა თავდგირიძემ ასევე აღნიშნა, რომ **ქვეყნის მკაფიო სამხედრო დოქტრინა უნდა ჩამოყალიბდეს დაშვებული შეცდომების მიზეზებისა და შედეგების გაანალიზებით, ხოლო ნებისმიერი სამხედრო რეფორმა უნდა განხორციელდეს ფინანსური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გათვალისწინებით.** სავალალო ფაქტია: სამხედრო ბიუჯეტის მთელი მოცულობის ორი მესამედი კორუფციულ გარიგებებში „იკარგება“, სამხედრო ძალების საჭიროებისთვის კი მხოლოდ ერთი მესამედი იხარჯება.

ბატონ თავდგირიძის აზრით, XXI საუკუნე პროფესიული ჯარის ეპოქაა, თუმცა ქვეყნის დღევანდელ მმართველობას ასეთი ჯარის არსებობა აშინებს. ამჟამად საჭიროა მისი რიცხოვნობა 8 ათასამდე შემცირდეს და შემდგომში 20 ათას კაცს მიაღწიოს, თანაც **პროფესიონალიზმი უნდა იყოს არა, ვთქვათ, ამერიკული და ნატოში მიღებული, არამედ ერთიანი, უნიფიცირებული.** ამასთან, აუცილებლად მოსაშორებელია მილიტარისტული რიტორიკა, ყურადღება კი ხარისხიან სამხედრო განათლებაზე უნდა გადავიტანოთ, თან კანონით გასათვალისწინებელია ოფიცრის კარიერის დროში გაწერა. **ქართული ჯარის დიდ პრობლემად კვლავაც არასაწესდებო ურთიერთობები რჩება, ამიტომ საჭიროა სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება.** ასევე მნიშვნელოვანია ჯარის გარნიზონული პრინციპით განთავსების საკითხის გადაწყვეტა, ვინაიდან აგვისტოს მოვლენებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ საბაზო განლაგებისას მოწინააღმდეგეს საჯარისო შენაერთების განადგურება გაცილებით ადვილად შეუძლია.

სამხედრო დაზვერვის საკითხების ანალიტიკოსმა **ვახტანგ მაისაიამ** ილაპარაკა მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ და კატეგორიულად აღნიშნა, რომ **ჩვენი სავალალო შეცდომა ომის საფრთხის საშიშროების გაუთვალისწინებლობა იყო.** დაზვერვის მთავარი მიზანია იცოდეს, აპირებს თუ არა მოწინააღმდეგე ქვეყნის ტერიტორიაზე შემოჭრას, თუ ჰო — მაშინ სად და როდის, რა საბაბს გამოიყენებს მიზეზად და ა. შ. ყოველივე კი უნდა მოხდეს პოლიტიკური ზრახვების, განცხადების ანალიზის საფუძველზე.

შემდგომ ბატონმა მაისაიამ მიმოიხილა რუსეთის ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდგომ მისი უშიშროების სამსახურის სტრუქტურული ცვლილებები, შემადგენლობა, გააკეთა ფუნქციებისა და შეიარაღებული ძალების ანალიზი, განიხილა უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მოქმედებები, სწავლება, წვრთნის სტრუქტურა, რომლის თანახმად **საქართველო ნომერ პირველ მტრად მოიაზრება.**

მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ **მოსკოვმა სცადა თბილისის დარწმუნება იმაში, თითქოს თავად ჩრდილოეთ კავკასიურ საქმეებში იყო ჩაფლული, საქართველოსთვის ვერ მოიცლიდა და შეძლო კიდეც ამის გაკეთება.** საგულისხმოა ისიც, რომ 7 აგვისტომდე ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი რუსეთთან ფართომასშტაბიან კონფლიქტზე არც ფიქრობოდა, **აგვისტოს მოვლენებს კი უშიშროების ფედერალური სამსახურის ანტიტერორისტული დეპარტამენტი ხელმძღვანელობდა.**

ამჟამად ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობა პირადად რუსეთის პრემიერ-მინისტრის დაახლოებული პირებითაა დაკომპლექტებული. ბატონმა მაისაიამ ასევე განიხილა ალ-ქაიდასა და ირანის ინტერესების თანხვედრა საქართველოსადმი, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გადმონთხევის საშიშროება და სხვა საშუალო თუ გრძელვადიანი მუქარები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის.

საჯარო განხილვის დასასრულ ექსპერტებმა დამსწრეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს უპასუხეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

წიგნი

*ვიწყებთ ცნობილი მეცნიერ-იურისტის, ისტორიკოსის, ლიტერატურათმცოდნისა და დიპლომატის ზურაბ ავალიშვილის (1876-1944) ნაშრომის „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ ქართულ ენაზე თარგმანის ბეჭდვას.*

*ცოტა რამ ზ. ავალიშვილის ბიოგრაფიიდან.*

*საშუალო განათლება მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში, ხოლო უმაღლესი — პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1900 წელს პირველი ხარისხის დიპლომითა და ოქროს მედლით დაამთავრა. იგი დატოვეს სახელმწიფო სამართლის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად და 3 წლით მიავლინეს პარიზში. 1904 წ. დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია, 1909 წელს მიიწვიეს პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორად და კათედრის გამგედ. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ სენატორი გახდა.*

*1918 წ. აპრილში საქართველოში დაბრუნდა და დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარ მრჩევლად საგარეო პოლიტიკის საკითხებში. მაღალკვალიფიციური იურისტი 1918-1921 წ.წ. საქართველოს დიპლომატიის უშუალო შემოქმედი გახდა. მისი პოლიტიკური ორიენტაცია, ქართული ტრადიციისამებრ ევროპული იყო და ჭეშმარიტად ეროვნული საგარეო პოლიტიკის კონცეფციაც შეიმუშავა. მისი გეგმა მიზნად ისახავდა ახალი რუსეთის ახალივე სახელმწიფოებით შემოფარგვლას. მისი შედგენილია დამოუკიდებლობის აქტის პროექტი.*

*ზ. ავალიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის გერმანიასთან საქართველოსთვის სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში. მისი ძალისხმევის შედეგი იყო, რომ გერმანიამ არ ცნო საქართველო-თურქეთის 1918 წ. 4 ივნისის ხელშეკრულება და ამით ახალციხე და ახალქალაქი საქართველოს შემადგენლობაში დარჩა. ასევე მისი დამსახურებაა 1918 წ. 27 აგვისტოს გერმანია-რუსეთის ხელშეკრულების მე-13 მუხლი, სადაც ნათქვამია: „რუსეთი თანხმობას აცხადებს გერმანიის მიერ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანოს ცნობაზე“.*

*1919 წელს პარიზის კონფერენციაზე ზ. ავალიშვილი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაშია. იქ მას, დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, დიდი ბრძოლა მოუწია სამუსლიმანო საქართველოს საკითხზე. სომხეთი, ინგლისის მხარდაჭერით, ზღვაზე გასასვლელს — ტრაპიზონის ვილაიეთისა და მესხეთის ზოგიერთი ნაწილის მისთვის გადაცემას მოითხოვდა. საქართველოს დელეგაციას დიდი ძალისხმევა დასჭირდა ამ გეგმის გასაბათილებლად. ზურაბ ავალიშვილმა შეადგინა ნოტა, რომელიც 1920 წ. მარტში გადაეცა ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს. ნოტაში დამაჯერებლად იყო დასაბუთებული, რომ ყველა ეს ტერიტორია, კერძოდ ბათუმის ოლქი, არდაგანისა და ოლთისის რეგიონები ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა და მას უნდა გადასცემოდა.*

*აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუციის მომზადებაში.*

*1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა საფრანგეთსა და გერმანიაში. გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს ზურაბ ავალიშვილის აქტიური დახმარებით მოხერხდა, რომ გერმანელებმა ხელთ ვერ იგდეს საფრანგეთში 1921 წელს გატანილი საქართველოს ისტორიული სიძველენი, რომელთა მცველიც ექვთიმე თაყაიშვილი იყო.*

*გაირდაიცვალა 1944 წ. გერმანიაში, ქ. შვარცენფელდში. დაკრძალეს ქ. შვანდორფში. 1993 წლის მაისში გადმოასვენეს თბილისში და დიდუბის პანთეონს მიაბარეს.*

*ზურაბ ავალიშვილს დარჩა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, განსაკუთრებით სახელმწიფო სამართლისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხებზე. ამ ნაშრომებით იგი იმთავითვე ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ერთ-ერთი აღიარებული იდეოლოგი შეიქნა. თავისი პოლიტიკური მრწამსი განსაკუთრებით ვრცლად ასახა წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ (1925 წ.). ემიგრაციის წლებში ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაში, იკვლევდა ძველი ქართული მწერლობისა და ფილოსოფიის საკითხებს.*

*„საქართველოს შეერთება რუსეთთან“ ზურაბ ავალიშვილის პირველი საისტორიო ნაშრომია. დაიბეჭდა 1901 წელს პეტერბურგში, რუსულ ენაზე. წიგნს სამეცნიერო კრიტიკამ იმთავითვე მაღალი შეფასება მისცა. დაწერილია ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდან. ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება და ვფიქრობთ, კარგი შენაძენი იქნება მკითხველისთვის.*

## მთარგმნელისგან

საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოვიდა ზურაბ ავალიშვილის „საქართველოს შეერთება რუსეთთან“, და ამ ხნის განმავლობაში არავის მოსვლია აზრად, ქართულად გამოეცა ეს წიგნი...

ერთხელ ნაცნობ ისტორიკოსს ვკითხე, ვინ მუშაობსმეთქი რუსეთთან შეერთების წლებზე. გაეცინა, არავინო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ მიერთებაზე სიმართლეს ვერ დაწერდი, ტყუილის თქმას კი ერიდებოდნენ. ამიტომაც მუშაობდნენ სხვა, უფრო „უმტკივნეულო“ (ან ხელსაყრელ) პერიოდებზე.

არავინო — მთლად მასეც არ არის საქმე: ორი წლის წინათ აკაკი ასათიანმა, პოლიტიკოსმა და ისტორიკოსმა, გადაწყვიტა „ტრადიციონალისტის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოეცა ზურაბ ავალიშვილის ეს ფუნდამენტური ნაშრომი რამდენიმე წიგნთან ერთად. იქამდე კი, სანამ ამ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმის თავის დასადგმელად საჭირო თანხებს იშოვიდეს, ბ-ნი აკაკის თავაზიანი თანხმობით გთავაზობთ წიგნის თარგმანის საგაზეთო ვარიანტს.

გამოდის, რომ სანამ არ გავეყარეთ, რუსეთთან „შეყრაზე“ სიმართლეს ვერ ვეღირსეთ. თავის დროზე აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ სინამდვილე რომ დაწერილიყო, აქამდე, ალბათ არ მივიდოდა საქმე. და, საერთოდ, სანამ ყველაფერზე სიმართლე არ ითქმება, სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, სანამ ვფარისევლობთ და შემოფურთხებაზე ვამბობთ, წვიმა მოდისო, არაფერი გამოვა, ვერც სარკოზი გვიშველის და ვერც მარკოზი, თუმცა რუსებმა საბოლოოდ ევროკავშირის თავმჯდომარის სიტყვაც შეისმინეს, და მარკოზ მახარებლისაც. გაიხსენეთ: „შენ გეუბნები, ადექი, აიღე შენი საწოლი და წადი შენს სახლში!“ (მარკ. 2, 11). მერე რა, რომ თავისას ჩვენი საწოლებიც გააყოლეს. მთავარია, რომ მიდიან.

არჩილ მანჯგალაძე



# ზურაბ ავალიშვილი
# საქართველოს შეერთება რუსეთთან

### წინათქმა

რუსეთთან საქართველოს შეერთება უპირველესი მნიშვნელობის საპოლიტიკო მოვლენა იყო. სწორედ ამ შემოერთების დროიდან, რუსეთი ადგება გზას, რომელმაც, შეიძლება, გაიყვანოს იგი სპარსეთის ყურის ნაპირებზე. მომავალი მარადის სამკითხავოა, მაგრამ საკმარისია, მოგეცეს ასეთი მომავლის შესაძლებლობა, საკმარისია, ფლობდე იმას, რაც რუსეთს ახლა აქვს კავკასიონს მიღმა, რომ ჰხედავდე მთელს მრავალმნიშვნელობას მოვლენისა, რომლითაც იწყება, საკუთრივ, რუსეთის სამფლობელოების გავრცელება აზიის ამ ნაწილში.

საქართველოს შემოერთება არ ყოფილა მიზანი, რომელსაც ოდითგან და ცნობიერად ესწრაფოდნენ; არ ყოფილა საჭიროება ბრძოლისა სხვა ევროპული სახელმწიფოების შემხვედრი გავლენის წინაალმდეგ; რუსეთს არ გააჩნდა საქართველოში არავითარი ეკონომიკური ინტერესი; არ ეჭირა თვალი საქართველოზედ არც საზღვრების „გასწორების“ მიზნით; მაგრამ თვით საქართველოს სჭირდებოდა რუსეთის დახმარება, და, არ ჰკმარობდა რა პროტექტორატს, დაეძებდა უფრო მჭიდრო ერთობას. ამ ძიებას პასუხად მოჰყვა საქართველოს შემოერთება. სწორედ ამ უკანასკნელის რუსეთისაკენ მიდრეკა შეადგენს მთელი მოვლენის განმასხვავებელ ნიშანს. არა რუსული დიპლომატიის თანამიმდევრულმა ძალისხმევამ, არამედ ქართველ მეფეთა მხრივ რუსეთის ქვეშევრდომობის დაუღალავმა მაძიებლობამ გამოიწვია საქართველოს შემოერთება.

გამამართლებელი მოტივები (სარგებლობა, გამოსადეგობა etc.). მხოლოდ სულ ბოლო წამს იქნა შერჩეული, ერთი სიტყვით, შეერთების იდეა საქართველოს, მის მეფეებს ეკუთვნით; მაგრამ როგორ მოხდებოდა შეერთება, ამას პასუხი გასცა რუსეთმა. წინამდებარე ნარკვევის ამოცანაა, გამოვკვეთოთ მოვლენა, მისი მთავარი მოხაზულობა, ცხადად წარმოვაჩინოთ ზოგიერთი გარემოება, რომელმაც შეერთება გამოიწვია, და ვითარება, რომელშიც ეს მოხდა.

როდესაც რუსეთთან საქართველოს საპოლიტიკო დაახლოვების გარემოებებს არკვევდა და იმ ყალიბს განიხილავდა, რომელმაც ეს დაახლოვება განამზადა, ავტორი, ბუნებრივია, უნდა შეჰხებოდა წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობებს, გარდაუვლად რომ მოსდევს ნახევრად ფეოდალური ქვეყნის შეერთებას ძლიერ და მკაცრად ცენტრალიზებულ იმპერიასთან.


З. АВАЛОВЪ
ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ
къ
РОССІИ
С.-ПЕТЕРБУРГЪ
1901

საქართველოს სავსებით გასაგები და კანონიერი სურვილები სულ უბრალოდ უგულებელყოფილი აღმოჩნდა, იმიტომ, რომ მათი ასრულება არ ესატყვისებოდა არც რუსეთის სახელმწიფოებრიობის ხასიათს და არც იმ საპოლიტიკო ამოცანების განხორციელებას, რუსეთის წინაშე რომ დადგებოდა წინა აზიაში. სწორედ რომ ქართველები ადგნენ პრივილეგიის შუასაუკუნოვან თვალსაზრისს, ისინი ეშურებოდნენ შეერთებას გარკვეული პირობით, ხელშეკრულების ფორმით. ყოველივე ეს დასაბამითგან უცხო იყო რუსეთისათვის, აქამდე ჯერ კიდევ სამი საუკუნით ადრე უარი რომ უთხრა ნოვგოროდს ვეჩესა და ზარზე — სახელმწიფოს ერთიანობისა და ხელისუფლებისადმი მისი ნაწილის თანაბარი ქვემდებარობის გულისათვის. შემდგომ ამისა, ქართველთა სურვილი, რუსეთის ქვეშევრდომობის პირობებშიც შეენარჩუნებინათ ზოგი რამ ძველი წყობიდან (სახელდობრ, მეფეძ, ეწინააღმდეგებოდა დიქტატურის გარდუვალ მოთხოვნილებას: XIX საუკუნის დამდეგის საქართველოს მართვა — საგარეო გართულებებისა და ომისა გამო — ადმინისტრაციის გმირულ ძალისხმევას მოითხოვდა. ქართველთა სურვილები ასეთ პირობებში ვერასგზით ვერ ასრულდებოდა.

ახლა, როდესაც უკან ვიყურებით, ჩვენ ამას ნათლად ვხედავთ, მაგრამ ის ადამიანები, ვინც საქართველოს შეერთება იხილა, რა თქმა უნდა, სხვაგვარად ფიქრობდნენ. სრული, უპირობო შეერთების საჭიროების მოტივირება ის არ იყო, რაც უნდა ყოფილიყო; მეორეს მხრივ, გარკვეული პირობებით შეერთების სურვილს ქართველებს უკარნახებდა ოდითგან ჩამოყალიბებული მთელი მათი მსოფლმხედველობა; მათი თქმულებები. ეს წინააღმდეგობა აღკვეთილ იქნა: თავიდანვე გადაწყვიტეს, საქართველო შემოეერთებინათ როგორც უბრალო პროვინცია. საკითხის ასეთი რადიკალური გადაწყვეტა მაშინ სულაც არ იყო უმტკივნეულო: ყოველგვარი დიდი საპოლიტიკო საქმე მსხვერპლს მოითხოვს, და მაშინ საქართველო იძულებული შეიქნა, გაეღო ეს მსხვერპლი. მაგრამ ახლა შეიძლება ითქვას, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა დასაწყისშივე კეთილისმყოფელი იყო: პრივილეგიას ადრე თუ გვიან მაინც წაართმევდნენ, ე.ი. იძულებულნი გახდებოდნენ, წაერთმიათ იგი, როგორც რაღაც ისეთი რამ, რაც რუსეთს საერთოდ არ უყვარს. და რაც უფრო ადრე, მით უკეთესი; მით მალე ეძლევა დავიწყებას ის, რაც კვდომისთვის არის განმზადებული.

ამ გაგებით, საქართველოს შესახებ საკითხის ერთბაშად გადაწყვეტა დასაწყისშივე სვე-ბედნიერ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, რა თქმა უნდა, საამისოდ თავიდან ბევრი რამ დაინგრა, ბევრის უფლება დაირღვა.

ზედაც, ძველი საპოლიტიკო ტრადიციები, მემკვიდრეობით რომ დარჩა ფეოდალური საქართველოსაგან, სულ ცოტა ხანში გახუნდა და გაცამტვერდა ახალი, გაცილებით უფრო ნაკლებჩამორჩენილი წყობილების ფონზე. რუსეთის შემადგენლობაში შესულმა საქართველომ ერთბაშად შედგა ფეხი შუასაუკუნეთა სიღრმიდან ახალ (რა თქმა უნდა, შედარებით ახალ!) ხანაში — მისი საპოლიტიკო ორგანიზაცია სადღაც იქ, გაღმა ნაპირზე დარჩა; ეს ნაპირი, წლითი წლობით, სულ უფრო მეტად იბინდებოდა, ბოლოს კი საერთოდ დაიკარგა, - ხოლო ძველი საქართველოს ხსოვნა ვერ შობდა და ვერც შვა თავისი წიაღიდან ახალი საპოლიტიკო მრწამსი და ახალი ძიებანი.

ასეა თუ ისე, საქართველოს შეერთება რუსეთთან გახდა პირველისათვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი, ხოლო მეორისათვის — უაღრესად ფასეული შენაძენი, რომელმაც მთელი რიგი ახალი წარმატებები მოუტანა. მაგრამ ის, რაც ახლა ასეთი მარტივი და ბუნებრივი გვეჩვენება, რაც ასეთი სიცხადით გამოიხატა ამ საამურ ლეგენდაში ერთმორწმუნე რუსეთთან საქართველოს კეთილნებობითი შეერთების შესახებ, სინამდვილეში, წვითა და დაგვით ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე, და ხორციელდებოდა მრავალი დაბრკოლების გადალახვით, მძიმე და დაძაბულ ვითარებაში.

შემოთავაზებულ ეტიუდში ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთებაზე — რუსეთთან საქართველოს მიწა-წყლის შერწყმის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენაზე. ხოლო ამ ისტორიის უკანასკნელი ფურცლის - სამეგრელოს სამთავროს ავტონომიის გაუქმების მომსწრე და თვითმხილველია თაობა, რომელიც დღესაც ცოცხალია.

### მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნის პირველი გამოცემის წინათქმაში, სხვათა და სხვათა შორის, ნათქვამი იყო შემდეგი: რუსეთთან საქართველოს შეერთება უპირველესი მნიშვნელობის საპოლიტიკო მოვლენა იყო. სწორედ ამ შემოერთების დროიდან, რუსეთი ადგება გზას, რომელმაც, შეიძლება, გაიყვანოს იგი სპარსეთის ყურის ნაპირებზე. მომავალი მარადის სამკითხაოა, მაგრამ საკმარისია, მოგეცეს ასეთი მომავლის შესაძლებლობა, საკმარისია, ფლობდე იმას, რაც რუსეთს ახლა აქვს კავკასიონს მიღმა, რომ ჰხედავდე მთელს მრავალმნიშვნელობის მოვლენისა, რომლითაც იწყება, საკუთრივ, რუსეთის სამფლობელოების გავრცელება აზიის ამ ნაწილში“.

ამ შეერთების განსაკუთრებული, თავისებური პირობები მთელი XIX საუკუნის მანძილზედ ახდენდა გავლენას ქართველთა საპოლიტიკო თვითშეგნებაზე. სახელდობრ: მათ ყოველთვის მიაჩნდათ თავი ერად, კეთილნებობით რომ შევიდა რუსეთის შემადგენლობაში.

ამ უკანასკნელთან დაახლოება დოგმატი იყო ქართული პოლიტიკისა შეერთებამდე დიდი ხნით ადრე. ამას ჰქონდა ღრმა მიზეზები, და სწორედ ამ მიზეზებზედ გვექნება ქვემოთ საუბარი.

მას მერე, რაც ქართველებს ხელი აალებინეს თავიანთ საკუთარ პოლიტიკაზედ, და ქვეყნის სვე-ბედის მართვა რუსეთის ძალაუფლების ხელში გადავიდა, მათ არაერთგზის ჰქონდათ საფუძველი, კრულვით მოეხსენიებინათ ის დღე, რა დღესაც შევიდნენ იმპერიის შემადგენლობაში: და, როცა უკან მიუხედავთ, ხშირად უცვნიათ თავიანთ წინაპართა ნამოქმედარი მცდარად.

მაგრამ როდესაც ზოგჯერ სინანულით იგონებენ, რა ჯიუტად ეშურებოდნენ XVIII საუკუნის ქართველნი რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობას, ჩვენი დღეების ქართველებს ამ მოგონებას აღუძრავს მათი სამშობლოს ახლანდელი ვაგლახი მდგომარეობა, და არა წარსულის კრიტიკული შეფასება.

ისე კი, საზოგადოდ რომ ვთქვათ, არა წარსულის ხსოვნა, არამედ თანამედროვე მწვავე საჭიროება — თავისუფლებისა, განათლებისა, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისა — ასაზრდოვებს საქართველოში საზოგადოებრივ მოძრაობას; არა ეროვნული ლოზუნგები სჭარბობს იქ დღესდღეობით, არამედ საერთო-კაცობრიობული ან, სულ ცოტა, საერთო-რუსეთული მაინც.

როგორც არ უნდა იყოს, ამიერკავკასიის ხალხებმა უკვე მიაღწიეს ან მალე მიაღწევენ იმ საფეხურს განვითარებისა, რომელზეც არდაკმაყოფილებული მისწრაფებანი პოლიტიკური ფორმულებისა და მათს ხორცშესასხმელად ბრძოლის ნიადაგად გვევლინება.

და მომავალი სვე-ბედი ამ მხარისა უცილობლად დაეკიდება ორ რასმე: პირველი, იმას, თუ რამდენად ჯდება ერთს ჰარმონიულ ყალიბში რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლებისა და რუსული კულტურტრეგერობის მოქმედება, ერთის მხრივ, და მკვიდრი მოსახლეობის ელემენტების თვითმოქმედება, ძიებანი და მოთხოვნილებანი, მეორეს მხრივ; და, მეორე, — იმას, თუ როგორ განვითარდება შემდგომ ძალთა თანაფარდობა ახლო აღმოსავლეთში.

ამ თანაფარდობას კი — მცირე აზიაში გერმანიის გავლენის ზრდის, ოსმალეთის კრიზისის გამწვავებისა და სპარსეთში ანგლორუსული კონკურენციის გაძლიერების შედეგად — დიაღაც შეიძლება, ცვლილებები მოჰყვეს.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

ომის ექო

# „იაკობობაზე“, რომელიც არ ჩატარებულა

## „ოკუპანტი“ დედაენაში შესატანი სიტყვაა

**ოქტომბრის ბოლო კვირა შარშანაც ასეთი მყუდრო და მზიანი იყო. ვარიანში „იაკობობის“ დღესასწაულზე მოსულიყო დიდი და პატარა. რაიონის სკოლებს დამთვალიერებლების სამსჯავროზე თავიანთი თვითშემოქმედება გამოუტანიათ — იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებიდან სცენებს წარმოადგენდნენ უამრავი ხალხი და კალათი სავსე იყო ხილითა და ჩურჩხელებით.**

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ წლევანდელი „იაკობობა“ ასე სევდიანად, უსახურად ჩაივლიდა. რამდენი ცრემლი და ტკივილი დაიტია ამ ერთმა წელმა. ომი! ოსი სეპარატისტების თარეში და რუსი სალდათების თავგასულობა, ნგრევა და მსხვერპლი, რომელსაც ვერც ვარიანი გადაურჩა. სოფელი დღემდე იშუშებს ჭრილობებს.

შრიალებენ გზის გაყოლებით ჩარიგებული ჭადრები. ქარი ერთ ადგილას შეაქუჩებს შემოდგომის გაყვითლებულ ფოთლებს, შემდეგ მოხვეტავს და ახლა სხვა ადგილზე გადაიტანს. შეიძლება ერთობა კიდეც, ვინ იცის...

ადამიანები მოწყენილი დგანან ავტობუსის მოლოდინში. გასართობი და სასიხარულო არაფერი აქვთ. ომმა მათ მძიმე მოგონებები დაუტოვა. სკოლის დირექტორის მოადგილემ თამარ ქებაძემ მიამბო სწავლის პროცესის მიმდინარეობის შესახებ. უჭირთ, მაგრამ იმედიანად არიან. ჰპირდებიან: დღეს-ხვალე უცხოელი სპონსორები სკოლის მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოებით მოამარაგებენ და მერე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

სოფელში ლტოლვილები დაბრუნდნენ და ახლა აღადგენენ და არემონტებენ ყველაფერს, რაც ომმა დაანგრია და გაატიალა. აგერ, გზის პირას, კერესელიძეების სახლს ბომბი რომ დაეცა, დღეს სოფლელები — კალატოზები, დურგლები, მეთუნუქეები შესევიან და ვიდრე აცივდება, სახლი უნდა გადახურონ. თამარ ქებაძემ მიამბო, როგორ დაეღუპა მამა სოფლის დაბომბვისას.

სოფელში მსხვერპლი სხვაც ბევრი იყო.

გელაშვილების ოჯახში მამა-შვილი აღმოჩნდა სახლის ნანგრევებში და ველარაფერი უშველეს. ახლა პატარები! დაბომბვის დროს დაიჭრა მეშვიდეკლასელი ვლადიმერ ურჯუმელაშვილი და მისი ათი წლის და ცირა. ორი ოპერაცია გაუკეთეს მეოთხეკლასელ ბექა გიორგიშვილს — თავსა და მუცლის არეში ყუმბარის ნამსხვრევები ჰქონდა. ახლა ბიჭს მესამე ოპერაციისთვის ამზადებენ — ხერხემლიდან უნდა ამოუღონ ნამსხვრევი.

უცნაური რამ მიამბო პედაგოგმა ირმა ზუბაშვილმა. მამამისი სოლომონ ზუბაშვილი, დაბომბვისას სიკვდილს რომ სასწაულებრივად გადაურჩა, მარცხენა ხელსა და გულ-მკერდის არეში მძიმედ დაჭრილი, გორიდან თბილისში გადაიყვანეს და ოპერაცია ქალაქის პირველ საავადმყოფოში გაუკეთეს. ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგრამ იმის გამო, რომ იმ დღეებში საავადმყოფო დაჭრილების მიღებას ვერ აუდიოდა, სოლომონი შინ გამოისტუმრეს, უფრო მძიმე ავადმყოფები გვყავს და შენ — მერეო. ახლა კი ეუბნებიან: კი, ბატონო, მოდი, ოპერაციას გაგიკეთებთ, თითებიდან ყუმბარის ნამსხვრევებს ამოგიღებთ, მაგრამ ამჯერად ფულის გადახდა მოგიწევს, ლტოლვილი და საომარი მოქმედებების დროს დაჭრილი აღარ გქვიაო (?!ქ.

თქვენ თქვენი კომერციული სამართალი გაქვთ, ბატონო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრო?

რა ჰქნას დაქცეულმა და გაძარცვულმა სოლომონმა? ძროხები და ღორები ოსმა მაროდიორებმა წაიყვანეს, ოჯახში თუ რამ ძვირფასეულობა ჰქონდათ, რუსმა სალდათებმა ჩაიჯიბეს, ბოსტანი და ხილის ბაღი „ბეტეერებმა“ მოაოხრეს, საიდან გადაიხადოს ოპერაციის თანხა?!

იკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, როგორც წესი, დაკეტილი დაგვხვდა. ეკლესიის წინამძღოლის თქმით, თანამშრომლები იშვიათად მოდიან, სოფლელებმა გოდერძი ბერკაცაშვილმა და ომარ კოკაურმა კი გვითხრეს, ხელფასის აღების დღეს თუ გამოჩნდებიან ხოლმეო. იმ დღეს ხელფასების დღე არ იყო და სამსახურში მოსასვლელად ვინ გაიცხელებდა თავს. სოფლელები გავაგზავნეთ თანამშრომლების დასაძახებლად. ვერავის მიაკვლიეს.

ის იყო, გამობრუნებას ვაპირებდით, რომ დაიძახეს: არიქა, მოჰყავთო. ჯერ გვეგონა, არსენა მოჰყავდათ, მერე ვიფიქრეთ — თვეში ხუთასლარიანი ხელფასის მქონე სახლ-მუზეუმის დირექტორი მიშა გოგებაშვილი თუ მოჰყავთო, მაგრამ არც ეს ვარაუდი აღმოჩნდა სწორი. თინათინ შაქარაშვილი. იაკობის სახლ-მუზეუმის ექსკურსიამძღოლი მოეძებნათ და გახარებული სოფლელები მიუძღოდნენ წინ. თინათინმა ექსკურსიამძღოლისთვის დამახასიათებელი პროფესიული ღიმილი გადმოგვაფრქვია და ბნელ, ფანჯრებშელეწილ და ჭერჩამონგრეულ მუზეუმში შეგვიძღვა.

ბომბი, რომელიც მტრის ავიაციამ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმზე დამიზნებით ჩამოაგდო, არ აფეთქებულა. კარგახანს ეგდო ეზოში. შემდეგ მოვიდნენ ჩვენი გამნაღმველები და „გააუვნებლეს“. ეს სიტყვა, ბრჭყალებში ჩავსვით, რადგან ბომბი მაინც აფეთქდა და ახლო-მახლო ქვა-ქვაზე არ დატოვა. მუზეუმის ქვის ღობე დაანგრია და ფანჯრები ჩალეწა. მინის ნამსხვრევები მუზეუმში ერთ ადგილზე, როგორც ექსპონატები, შეუგროვებიათ და გარეთ არ გააქვთ. დირექტორის განკარგულებაა — ნახოს მთავრობამ, რა დღეშიც ვართო.

თავად მთავრობა რა დღეშია, ამას არავინ დაეძებს.

მუზეუმის ეზოში ნაცნობი სახეები შევნიშნე. აი, ჩვენი ცნობილი პოეტი ჯემალ ინჯია, მწერალი მარინე ჯალიაშვილი კი ვარიანში თავისი ორი მშვენიერი ქალიშვილით ამოსულა. აგერ გერონტი გოგინაშვილი, მწერალი და მეცენატი. 90-იანი წლების დამდეგს იაკობის სახლ-მუზეუმს ფინანსურად იმდენად გაუჭირდა, რომ მთავრობაში მის დახურვაზეც კი ალაპარაკდნენ. მაგრამ მოულოდნელად დახმარება ფირმა „ქარვასლიდან“ მოვიდა. მისმა დირექტორმა გერონტი გოგინაშვილმა მუზეუმს ასი ათასი მანეთი გადასცა. მოფამფალებულ შენობაში სასწრაფოდ ჩაატარეს სარემონტო სამუშაოები. მუზეუმი დანგრევას გადაურჩა, ჩვენი სულიერი კულტურა — სირცხვილს.

როგორც ჩვენშია მიღებული, კეთილი საქმე მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაიხსენეს და გერონტი გოგინაშვილი იაკობ გოგებაშვილის პრემიაზე კი წარადგინეს, მაგრამ ახლა „ვარდების რევოლუციის“ ქარმა დაჰქროლა — მოქალაქეთა კავშირიც გახვეტა და გოგებაშვილის პრემიაზე მწერლის წარდგენის ქაღალდებიც ზედ მიაყოლა...

მონაწილეებმა დავტოვეთ მოუვლელი, ფანჯრებჩალეწილი, ჭერჩამონგრეული დიდი პედაგოგისა და მწერლის სახლ-მუზეუმი. გზაზე გავედით. ავტობუსის მოლოდინში იქვე ღობესთან მივდექით და შემოდგომის მზეს მივეფიცხეთ.

იქვე პატარა ბიჭები კაკლაობდნენ. იყო ერთი ჟივილ-ხივილი, მაგრამ, მოულოდნელად:

— ეს ხომ ჩემი ჯილაა!

— არა ჩემია, ამ დილით გავკროლე.

— აბა, დაიფიცე.

— აჰა, დავიფიცე.

— გრცხვენოდეს, მატყუარა!

— შენ კიდევ, ოკუპანტო!

უსიამოვნოდ გამკაწრა გულში.

— იცი, რა არის ოკუპანტი? — შევეკითხე.

ბიჭები ისე იყვნენ შესული თამაშის ეშხში, ჩემი შეკითხვა არც გაუგონიათ. პატარა გოგონა კი, ცალ ხელში დედაენა რომ ეჭირა, მეორე კი ბ ეზოს კაბის კალთას ჩაებღაუჭა, მომიტრიალდა და მითხრა:

— როცა რუსები სახლში არ მიდიან!

აი, პასუხი!

წადით, რუსებო, შინ!

ღმერთმანი, „ოკუპანტი“ დედაენაში შესატანი სიტყვაა...

**გურამ ვაშაკიძე**

გამოხმაურება

# საქართველო: დემოკრატია

მრავლისმნახველმა და მარად ახალგაზრდა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, ქართულ პრესაში თითქმის ერთადერთმა, მთლიანად შეინარჩუნა ქართული აზროვნებისა და მეტყველებისათვის დამახასიათებელი დარბაისლური სტილი, სიახლისადმი შეუნელებელი ლტოლვა და საჭირბოროტო პრობლემების ობიექტურად განხილვის ტრადიცია. მე, როგორც ამ გაზეთზე შეყვარებული ერთ-ერთი მკითხველი, თავს უფლებას მივცემ, ორიოდე სიტყვით **შევეხმიანო** გაზეთის ა/წ 3 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ **მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ მეუფე ანანია ჯაფარიძის** პუბლიკაციას **„ენა და სახელმწიფო: საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვის აუცილებლობის შესახებ“** და მასზე იმავე გაზეთის 10 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ **ბელგიის მოქალაქე** ქართველი **ომარ ხახაშვილის** გამოხმაურებას: **„სახელმწიფოს განმტკიცებისა და ხალხის ერად ჩამოყალიბების უპირველესი ფაქტორი დემოკრატიაა და არა ენა და რწმენა“.**

ამთავითვე უნდა ვაღიარო, რომ **დღეს საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის** ასეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის ირგვლივ ამ ორ, გარეგნულად **ურთიერთსაპირისპირო** წერილზე ჩემი „გამოხმაურება“ გაპირობებულია, უპირატესად, იმ ემოციებით, რომელიც დასახელებული პუბლიკაციების გაცნობით მივიღე. აქვე იმასაც დავსძენ, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ავტორი **ზარებს თავისი სამრეკლოდან არისხებს,** ქვეყანასა და მის ირგვლივ შექმნილ რეალურ ვითარებას კი ბოლომდე არ უწევს ანგარიშს. როგორც ჩანს, **ყველა იმას ხედავს და ამჩნევს, რაც აინტერესებს.**

გამოგიტყდებით: **მეუფე ანანიას** წერილი იმდენად ტკივილიანი და არაორდინალური პრობლემებითაა დახუნძლული, რომ იგი არაერთგზის გადაკითხვასა და დაფიქრებას იმსახურებს, რადგან ქართული ეროვნული სახელმწიფოს დამკვიდრების პრობლემებთან შეხება ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე პრაქტიკულად ჩვენ თითქმის არა გვქონია.

მეუფე ანანიას აზრით, ქართველმა ერმა **„უნდა შეძლოს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საქართველოს საზღვრებს შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეებად, ანუ ერად ჩამოყალიბება“.** ამ სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად კი საჭიროა **„ქართველი ხალხის შიდა კონსოლიდაციის დაჩქარება და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოში“.**

რა უძნელესი ამოცანაა, განსაკუთრებით, **რუსეთის იმპერიის მეზობლად მყოფისთვის!**

მეუფე ანანიას მიაჩნია, რომ ქართულმა ენამ, რომელიც კავკასიის ხალხებისთვის **ერთაშორისი ურთიერთობის** ენა იყო, რუსეთის ორსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად ეს ფუნქცია არა თუ კავკასიაში, — საქართველოშიც კი დაკარგა. ამჟამად ქვეყანაში რამდენიმე „ტოლხარისხოვანი“ კულტურა გვაქვს: ქართული, რუსული, სომხური და ა.შ., რომლებიც თავიანთ ეთნოჯგუფებში (გარდა რუსულისა!ქ ჩაკეტილ სისტემებს წარმოადგენენ და ყველა მათგანს „რუსული კულტურა აერთიანებს“. სამწუხაროა, რომ ქართული საზოგადოება **ტრაგედიად არ განცდის** ამ ეროვნულ ხინჯს, რომელიც დღეს საქართველოს ხალხების ერთიან ერი—სახელმწიფოდ ინტეგრაციის უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზია.

**ქართველი ხალხის კონსოლიდაციის მიზნით,** — განაგრძობს ავტორი, — **გადაჭრით უნდა დავძლიოთ იმპერიული მემკვიდრეობა და რუსული კულტურა უნდა გადავფაროთ(!?) ქართულით, რუსულთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქართულ ენასა და კულტურას, ლიტერატურას, მუსიკას, მორალს, ფილოსოფიას, ეკონომიკურ დოქტრინებს, ერთი სიტყვით ყველაფერ ქართულს! ყველაფერი რუსული უნდა გამოცხადდეს საქართველოს სხვადასხვა ხალხის ინტეგრაციის შემაფერხებელ იმპერიულ—კოლონიურ ნაშთად.** ეს გზა გამოიყენეს თავის დროზე თვით რუსეთში ფრანგული ენისა და კულტურის მიმართ, და თურქეთში — ოსმალურის მიმართ (არა მგონია, ამ ქვეყნების მაგალითის მოტანა აქ სავსებით შესაფერისი იყოს, რადგან საფრანგეთსა და ოსმალეთს, რუსეთსა და თურქეთზე ისეთი დამანგრეველი იმპერიული ზეწოლა არ მოუხდენიათ, როგორიც ეს რუსეთმა საქართველოს მიმართ ჩაიდინა. ამასთან, რუსული კულტურის ქართულით **„გადაფარვა“** არა მგონია ამ აზრის გამომხატველ სავსებით მოხდენილ შესატყვისად გამოდგეს, თუმცა საინტერესო ტერმინია. **ა. გ.**ქ.

**ეროვნულობის შენარჩუნებისა და კონსოლიდაციის ამ უკომპრომისო ბრძოლაში, —** განაგრძობს მეუფე ანანია, — **გადამჭრელი როლი განათლების სისტემამ, მასმედიამ, მასობრივმა კულტურამ, ტელევიზიამ უნდა შეასრულოს. ყველაფერი ეს ქართულენოვანი უნდა გახდეს.** ასე ხდება ანალოგიური პრობლემების მქონე ყველა სახელმწიფოში. **საქართველოსა და მის დედაქალაქში კი ჯერჯერობით ყველა და ყველაფერი რუსული კულტურითაა გამსჭვალული და ამას არავინ განიცდის. ქართველები ადვილად ეგუებიან რუსულ გარემოს და მასში სწრაფად ითქვიფებიან. ქართული სახელმწიფო კი, თუ იგი თავის ტერიტორიაზე ვერ გაავრცელებს თავის ეროვნულ კულტურასა და სულიერ ღირებულებებს, როგორც არშემდგარი სახელმწიფო, სწრაფად დაიშლება,** — ასკვნის მეუფე ანანია.

**ყურადღება უნდა მიექცეს ტელერადიოდიქტორების სასაუბრო მეტყველების კულტურას,** — განაგრძობს ავტორი. **დღეს მათი უზომოდ აჩქარებული და აქცენტირებული მეტყველების მოსმენა და აღქმა არა თუ ირანისა და თურქეთის მკვიდრ ქართველებს, არამედ საქართველოში მცხოვრებ ქართველ და, მით უფრო, არაქართველ მოსახლეობასაც უჭირს.**

იმ მიზნით, რომ საქართველო უკეთ შეემზადოს გლობალიზაციის პროცესისთვის, **იგი არ უნდა დანაწევრდეს კუთხური ნიშნით შექმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რათა ხელი არ შეეწყოს სეპარატისტული მისწრაფებების დანერგვა—განვითარებას, როგორც ეს, მაგალითად, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ მოხდა.**

ამ გზით, — ასკვნის ავტორი, — საქართველო ღირსეულად უნდა შეეგებოს გლობალიზაციის პროცესს, „ქართველმა ერმა უნდა განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, შეძლოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა ქართული ენისა და კულტურის განვრცობას უნდა მიენიჭოს“.

დამეთანხმებით, რომ ერთი შეხედვით, ამ არატრადიციული, მანამდე თითქმის ტაბუდადებული და თამამი წერილის გაცნობა ქართველი მკითხველისთვის პიროვნულად მეტად საამო და სასიამოვნოა. მართლაც-და, რა დამოუკიდებლობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, თუ ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს ენა და კულტურა დომინირებს და ერთა შორის კონსოლიდაციის ფუნქციას ასრულებს? განა სხვა რა არის „მამული, ენა, სარწმუნოება“?

მაგრამ, ამავე დროს, გონებაში ეჭვი იბუდებს: ასეთ ნაციონალურ (ეროვნულ?!ქ ინტერესებზე აგებული **ხისტი** პოლიტიკა განა ყველას (მაგალითად, ჩვენს თანამოქალაქე არაქართველსქ მოეწონება? რას იტყვიან ჩვენი უძველესი ხიზნები და ხომ არ გამოიწვევს ეს მათ უკურეაქციას? დიდმპყრობელმა მეზობელმა საუკუნეების მანძილზე ჩვენი ისტორია ისე „მიჰკარგ-მოჰკარგა“, რომ-არა გამორჩეული დიდი ქართული კულტურა და ერისა და ბერის უზადო ტოლერანტობა (რასაც ქვეყნისთვის არაერთი ზიანიც მოუტანია!ქ, საკუთარ ქვეყანაში ეს ხიზნები ქართველებს თავად ხიზნებად გვაქცევდნენ! ხელშემწყობი და მხარდამჭერი არ ჰყავდათ, თუ? ამიტომ, ასეთი ეროვნული პოლიტიკა დემოკრატიული რეფორმებით, უაღრესად ფრთხილად და დინჯად უნდა განხორციელდეს (აუცილებლად **უნდა განხორციელდეს!).** მით უფრო, რომ ჩვენი ხიზნების ენასა და აღმსარებლობას არავინ ემუქრება. აქ ენისა და კულტურის სტატუსზეა ლაპარაკი!

ცხადია, პრობლემა განსაკუთრებულად აქტუალურია და გულდასმით გააზრებას იმსახურებს. **მრავალი, ალბათ, გადაჭარბებულად მიიჩნევს მეუფე ანანიას წერილის პათოსს და ასე ხმამაღლა შემოკრულ საგანგაშო ზარს.** მაგრამ შევეცადოთ, უკეთ გავუგოთ ავტორს. შევეცადოთ, ჩვენს გონებაში ტრადიციულად დაბუდებულ პლებეური, თუნდაც მონური (ამ სიტყვების ნუ შეგვეშინდება!ქ მორჩილების დაძლევას და დასმული პრობლემის ღრმად გაანალიზებას. მხოლოდ ასე, ჩვენი ცნობიერების გარდაქმნით შევძლებთ **ახალი საქართველოს აშენებას,** მხოლოდ ასე გავითავისებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ **ეროვნული სახელმწიფოებრიობა** არამხოლოდ მატერიალურ, არამედ, გაცილებით უფრო მყარად, სწორედ კულტურულ-სულიერ ფასეულობებს ეფუძნება.

ოპოზიცია

(მესამე გვერდიდან)

# „ასაცრელები“



სამწუხაროდ, არ მჯერა, რომ „სკოლის დირექტორების უფროსი“, „თავისუფლების მებაირახტრე“ თეა თუთბერიძე რაიმე სასიკეთო ძვრებს მოახდენს საქართველოს სკოლებში, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ასეთი „აბსურდის თეატრი“ დიდხანს არ გაგრძელდება და მალე ყველაფერი თავის ადგილას დადგება (ალბათ საფლავში გადაბრუნდება ფრანგი მხატვარი დელაკრუა, რადგანაც მის გენიალურ ტილოზე „თავისუფლება ბარიკადებზე“ გამოსახულ, თავისუფლების სიმბოლოდ ქცეულ გოგონას „ქართულ რეინკარნაციად“ სკოლის დირექტორების „დირექტორი“ აღიქმება).

ჯანდაცვის სამინისტროშიც რომ ყველაფერი „ვერაა რიგზე“, საყოველთაოდ ცნობილია და ამ წერილში არსებული პრობლემების ჩამოთვლასა და განხილვას არ მოვყვები (დღეს არ მოვყვები, თორემ... „მაცალეთ, ბატონო, მაცალეთ“).

რადგანაც წერილის პირველი ნაწილი ბავშვებს ეხებოდა, მინდა თქვენი ყურადღება, ახლახან დიდი აჟიოტაჟითა და „დოლ-გარმონით“ ჩატარებულ „აცრებს“ მივაპყრო.

როგორც უცხოელი ექსპერტები „იუწყებიან“, 2010 წლისთვის ევროპაში მოსალოდნელია წითელასა და წითურას ეპიდემიები. იმ ექსპერტებმა, როგორც წესი, სავარაუდო მსხვერპლის რაოდენობაც დათვალეს და მოგვიწოდეს, სასწრაფოდ გაგვეტარებინა პრევენციული ღონისძიებები, თორემ „ქათმის გრიპის“ სავარაუდო შედეგები მონაგონი იქნებაო.

უცხოელმა სპეციალისტებმა პრევენციულ ღონისძიებებში არც სიმღერა „ბავშვობაში წითელა რომ შემეყარა“ შეიტანეს, არც წითელი ფერის სათამაშოების მასობრივი გამოშვება დაიწყეს და არც ბებიებისთვის ცნობილი, მრავალგზის წარმატებით გამოცდილი ხალხური მკურნალობის მეთოდები გაითვალისწინეს.

ისინი ადგნენ და რომელიღაც ინდური ფარმაცევტული კომპანიის მიერ დამზადებული ვაქცინები ჩამოგვიტანეს და ჩვენს ჯანმრთელობაზე მზრუნველი სახეებით, აცრების სასწრაფოდ ჩატარება გვთხოვეს.

„აცრებმა“ საკმაოდ მშვიდად ჩაიარა (გართულების რამდენიმე შემთხვევა „არ ითვლება“, რადგანაც სტატისტიკით, გართულებების ასეთი რაოდენობა „დასაშვებია“).

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტში საკმაოდ ბევრ უცხოურ საიტს ვსტუმრობ და ხანდახან უცხოურ ტელეარხებსაც ვადევნებ თვალს (აღარაფერს ვამბობ იმ უამრავ ნაცნობნათესავ-მეგობარზე, რომლებიც საქართველოდან გადახვეწილნი არიან), არსად არ შემხვედრია წითელასა და წითურას მიერ 2010 წლისთვის „დაგეგმილი“ „საშიშროების“ წინააღმდეგ ბრძოლისკენ ისეთი „გულმოდგინე ლაშქრობა“, როგორიც ჩვენთან იყო.

ჯერ „გული სიხარულითა და სიამაყით ამევსო“ და გავიფიქრე: რა ძლიერად ვუყვარებივართ ქართველობი, ჯერ იმ უცხოელ სპეციალისტებს და მერე ჩვენი ჯანდაცვის მესვეურებს, რომ ყველაზე წინ ჩვენ დაგვაყენეს და მოსალოდნელი ეპიდემიის პრევენცია ჩვენგან დაიწყესო.

ის იყო, თვალზე მომდგარი „ობოლი ცრემლი“ მოვიწმინდე, რომ მაშინვე რამდენიმე კითხვა გამიჩნდა.

1. რომელმა ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევები მოსალოდნელი ეპიდემიის შესახებ?

2. რატომ ხდება დაავადების პრევენცია და არ მიმდინარეობს 2010 წელს „გასაჩენი“ დაავადების კერის აღმოფხვრა (ლოგიკურია, რომ დაავადების წარმოშობის შესახებ ვარაუდს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია დაავადების წარმოშობის ადგილისა და მიზეზების შესახებ)?

3. არსებობს, თუ არა ინფორმაცია იმ ინდური ფარმაცევტული ფირმის შესახებ, რომლის მიერ გამოშვებული ვაქცინებით ხდებოდა აცრები?

4. სხვა რომელ ევროპულ ქვეყანაში ჩატარდა და ტარდება წითელასა და წითურას წინააღმდეგ მიმართული ვაქცინაცია (მე პირადად ძალიან მაინტერესებს ბელგიასა და დანიაში თუ ტარდება აცრები)?

5. თუ ევროპაში ვაქცინაცია მიმდინარეობს, რომელი ფირმის წარმოებულ ვაქცინებს იყენებენ?

6. ქართველი მაღალჩინოსნების ოჯახის წევრებმა თუ ჩაიტარეს ვაქცინაცია (ძალიან არ მიყვარს ასეთი სახის კითხვების დასმა, მაგრამ ვიცი, რომ მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას ექნება ეს კითხვა და ამიტომაც ვწერ)?

7. საქართველოში არსებული, სამედიცინო პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები თუ დაინტერესდნენ ასეთი აჟიოტაჟით და თუ ჩაატარეს რაიმე სახის კვლევა (თუ არა და რას ელოდებიან)?

ამ კითხვებზე გაცემული პასუხები, გაფანტავს საზოგადოებაში არსებულ ეჭვებს იმის შესახებ, რომ „უკეთეს შემთხვევაში“, რომელიღაც ევროპულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ საკმაოდ დიდი ფული „გაათეთრა“, ხოლო „უარესი შემთხვევა“ არც მინდა ვიფიქრო.

ნამდვილად არ არის სასიამოვნო ვინმეს წინააღმდეგ „გალაშქრება“, მაგრამ როდესაც საქმე ბავშვებს, მათს მომავალს, მათს ჯანმრთელობას და განათლებას ეხება, ნებისმიერი დაწესებულება „კეისრის ცოლზე“ მაღლა უნდა იდგეს და მათ მიმართ არავითარი ეჭვი არ უნდა არსებობდეს.

არ უნდა არსებობდეს, რადგანაც ბავშვებთან მიმართებაში მცირე გადაცდომაც სავალალო შედეგებს გამოიწვევს.

დღეს მიმდინარე პროცესების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ისინი, ვინც ბავშვების მიმართ არამც თუ შეცდომებს, დანაშაულსაც სჩადიან, საკმაოდ ცუდად და მტკივნეულად „აიცრებიან“.

**გია გაბრიჭიძე**

გამოხმაურება

# თუ ენა და რწმენა

ჩვენს ზოგიერთ **რუსოფილ თანამემამულეს** აკი უკვირს კიდეც: რა დაემართა ქართველობას, რა **„ვირუსი“** შეეყარა, რომ დღეს **ყოველგვარი რუსული ასე გადაიყვარა (როდის უყვარდა?) და პირი დასავლეთისკენ იბრუნაო!** მაგრამ ხომ გახსოვთ, „თავისუფლება სულს ისე მოწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“... რაც შეეხება „გადაყვარებას“, ერთი ასეთი ანალოგი მინდა გავიხსენო: ცხრა წლის ბიჭუნა ვიყავი, ფაშისტური გერმანია სსრკ-ს რომ თავს დაესხა. ომის წლებმა ჩემში გერმანელების მიმართ წარუშლელი ზიზღისა და სიძულვილის გრძნობა დატოვა. მაშინ არც ფაშისტი ვიცოდი რა იყო, არც აგრესორი და არც ოკუპანტი,– ეს შემდეგ გავაცნობიერე. სტუდენტობის წლებში ამას „ნიურნბერგის პროცესის“ შვიდტომეულისა და შემდეგ ამ თემაზე უამრავი სხვა მასალის გაცნობაც დაემატა და, მართალია, გერმანელებისადმი სიძულვილი გულიდან როგორღაც ამოვიგდე, მაგრამ ნებისმიერი დამპყრობლისა და მისი სისასტიკისადმი ზიზღი და სიძულვილი დღემდე არ გამნელებია.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ – **რუსოფილების საყურადღებოდ ვამბობ!** – 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ (არ დამიწყოთ ახლა, სააკაშვილის მიმართო!) განხორციელებულმა დაუნდობელმა აგრესიამ და დასავლეთ საქართველოს და შუაგული ქართლის გაპარტახებამ ამ დროულ კაცს, დღეს რუსებისადმი კვლავ ჩემი ბავშვობისდროინდელი სიძულვილი გამიჩინა. ცხადია, მთლიანობაში ერზე ეს არ ითქმის, მაგრამ, – **რუსოფილებო! – რუსი, რომელიც დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, 2008 წელს, ჩემს სამშობლოს ბომბავს, ტანკებით აოხრებს და თელავს და ჩემს მიწა-წყალს მეცილება, არ შეიძლება არ მძულდეს, არ მძულდეს მის პრეზიდენტიანელჩიანად!**

რა არის აქ გაუგებარი და გასაკვირი, თუ თქვენც მისი ჯიშისა და მისი ემისარი არ ბრძანდებით, ან ის თქვენი მარჩენალი არ არის?

მაგრამ, მივყვეთ მეუფე ანანიას წერილს.

როგორც დასაწყისში ითქვა, ამ თემაზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 10 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა **ბელგიის მოქალაქე ომარ ხახაშვილის** გამოხმაურება: **„სახელმწიფოს განმტკიცებისა და ხალხის ერად ჩამოყალიბების უპირველესი ფაქტორი დემოკრატიაა და არა ენა და რწმენა“.**

ეგეც თქვენ! გესმით? – არავითარი ენა და რწმენა!

ბატონი **ომარი** დაწვრილებით განიხილავს მეუფე **ანანიას** ზემოთ ნახსენებ პუბლიკაციას და როგორც უცხო სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეს შეეფერება, მის არგუმენტებსა და დასკვნებს კატეგორიული ტონით უარყოფს, მაგალითად, აი, ასე: **„თავი რომ დავანებოთ რუსული ენის მნიშვნელობას არა მარტო არაქართველებისათვის, არამედ ქართველებისათვისაც საქართველოში, იმის მოთხოვნა, რომ ჯერ არშექმნილ სახელმწიფოში უცებ ქართულად ავალაპარაკოთ ყველა არაქართველი და მართლმადიდებლურ რწმენაზე მოვაქციოთ ყველა არამართლმადიდებელი, ეს პროვოკაცია თუ არა, დიდი სიბრიყვე(!) მაინც არის“.**

ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ ავტორს ნამდვილად ეტყობა **დემოკრატიული** ქვეყნის მოქალაქეობა. მაშ საიდან ეს ბრალდებები – „უცებ ქართულად ავალაპარაკოთ“, ან „ყველა არამართლმადიდებლის მართლმადიდებლად მოქცევის“ მოთხოვნა? ეს „გადამლაშება“ იმიტომ დასჭირდა, რომ მეუფე ანანიას ცრუპატრიოტობის ქადაგება დასწამოს. აკი, ბატონი ომარი კიდევაც ასე წერს: **„...არ უნდა გაგვიკვირდეს. ცრუპატრიოტიზმი ისეთი ბაცილაა, რომ მან შეძლო უცებ ბრბოდ ექცია კანტისა და გოეთეს მშობელი დიდი გერმანელი ერიც კი! უბირ რუს ან ქართველ ბრბოს რა მოეკითხება?!“** როგორც ჩანს, ეს ბატონი ომარის კამათის სტილია.

**ბატონი ომარის** წერილში სხვა „საგულისხმო“ მოსაზრებაცაა გამოთქმული. იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო „ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოდ იქცეს“, პირველ რიგში, დემოკრატიაა საჭირო, რათა „ყაჩაღთა ხროვა“ (აქ: თანამედროვე ქართველი) ერი გახდეს. სწორედ ამიტომ, – როგორც **ბატონი ომარი** ამბობს, – **„მოუწოდებს ცნობილი პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ქართულ ეკლესიას, რომ რაღაც იღონოს ქართველი ხალხის ამ სენისაგან („ცრუპატრიოტული ალტკინებისაგან“, ა.გ.) განსაკურნად“** და მოაქვს ციტატა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა/წ. 28 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული **ჰ. ჭიპაშვილის** წერილიდან, სადაც ბატონი ჰამლეტი წერს: **„სამწუხაროდ, საქართველოში, როგორც ჩანს, ღრმად აქვს ფესვი გადგმული ფსევდოპატრიოტიზმს და, ასევე სამწუხაროდ, ეკლესია არასაკმარისად მოქმედებს ამ ავადმყოფობის სამკურნალოდ“.**

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მაინც შევახსენებ, რომ ბერძნული სიტყვა „ფსევდო“ ქართულად ტყუილს, ცრუსა და ყალბს ნიშნავს. ე. ი. საქართველოში ფესვი გაუდგამს ყალბსა და ცრუ, ანუ „რეცა“-პატრიოტიზმს. ქართული ეკლესია კი ამ სიღალბეს სათანადოდ არ ებრძვის!

დიახ, სწორედ ასე, რუსული მედიის კვალდაკვალ, **ჩვენი ზოგიერთი „ცნობილი პოლიტოლოგიც“, სამწუხაროდ, უკვე ქართული ეკლესიის აშკარა კრიტიკასაც არ ერიდება. დასანანია!**

ბატონი ომარი საყვედურობს მეუფე ანანიას, რომ თავის წერილში ის დემოკრატიის აუცილებლობაზე არაფერს ამბობს, და მიუთითებს, რომ **„სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეებად თუ ერად ჩამოყალიბების საშუალება დემოკრატიაა და არა ენაო“.**

უნდა ითქვას, რომ ეს ბრალდება **ნაწილობრივ** სამართლიანია: მეუფე ანანიას წერილში დემოკრატიაზე საუბარი მართლაც არსად არ ჩანს (და, ამდენად, არც დემოკრატიის აუცილებლობის უარყოფა იგულისხმება). მაგრამ, მეუფე ანანიას უნდა გავუგოთ: **ქართველი მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურისთვის დღეს მთავარი საზრუნავი ქართული ენისა და კულტურის გადარჩენაა, რომელთა გარეშე ქართველი ერი და სახელმწიფო არ შედგება, ვერ იარსებებს. ბატონ ომარისთვის კი უმთავრესი საზრუნავი დემოკრატიაა, რომლის მეშვეობით ის ბელგიაში თავისუფლად გრძნობს თავს და ამ სიკეთეს ბედკრული(!) საქართველოსათვისაც არ იშურებს.** და ამაში **ბატონი ომარი** პიროვნულად მართალია (ქართული ენა და რწმენა მას იქ არ სჭირდება). მაგრამ, ამასთანავე, ქართული ენისა და კულტურის ფენომენების როლის დაკნინება, რასაც ის სჩადის და, უფრო უარესიც, **არაფრად მიიჩნევს,** უპატიებელი გულმავიწყობაა (თუ ეს საერთოდ „გულმავიწყობაა“!).

ასე რომ, ჩემი აზრით, ძვირფასო მკითხველო, დასახელებული წერილებიდან მთლიანობაში ბოლომდე სრულყოფილი არც ერთია და არც მეორე. **მათი მოსაზრებების (წინადადებების) გაერთიანებით კი სწორედ იმ მოდელის აგება შეიძლება, რომლითაც, თუ (რუსოფილებო, ყურადღებით!) იმპერიულმა რუსეთმა დაგვაცალა, – საქართველოში დარჩენილი ქართველები ოდესმე ქართულენოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს აგებას შევძლებთ და უცხოეთში მყოფ ქართველებს სამშობლოში მოვიპატიჟებთ** (თუ მანამდე „სადღაც“ საქართველოში დაბრუნების სურვილი მათ კიდევ შემორჩათ). ამასთან, როგორც ბატონი ომარი თავის წერილში გვარიგებს, იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ **„ქვეყნის ბიუჯეტი ვიგინდარებს არ ვაბურთავებინოთ და საქართველოში გასაძლისი პირობები შევქმნათ. ამას კი დემოკრატია ჰქვია, რომლის უქონლობა განაპირობებს სამშობლოდან გაქცევის სურვილის გაჩენასაც“.** ძვირფასო მკითხველო, უნდა ვეცადოთ და აქ მყოფებმა ესეც გავითვალისწინოთ!

აქ მინდა გაკვრით აღვნიშნო, საერთოდ, **უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა შეუნელებელი მცდელობა, – რაღაცით მაინც არგონ თავიანთ სამშობლოს.** ის გარემოება, რომ დღეს ორ მილიონამდე ქართველი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას მოეფინა (რუსეთის ჩათვლით), არ შეიძლება მხოლოდ საქართველოში არსებული ეკონომიკური სიძნელეებითა და პოლიტიკური სირთულეებით აიხსნას. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მთელ მსოფლიოში მოსახლეობის ინტეგრირება დღეს ეკონომიკისა და კულტურის შეუნელებელი პროგრესისა და გლობალიზაციის პროცესის თანამდევი პროცესია. სისტემატურად ვეცნობი უცხოეთში მცხოვრები ქართველების ბეჭდვით მასალებს ინტერნეტით და ცოცხალი ჟურნალის საშუალებითაც, მაგალითად, „მამულს“ (აშშ, „თანამემამულეს“ – უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ცენტრალურ პერიოდულ გამოცემას (დიდი ბრიტანეთი, ლონდონი), რომელთა პუბლიკაციების გაცნობა უდიდესი სიამოვნების მომნიჭებელია. მათებური რეალობის გრძნობა, ობიექტურობა და სიმწვავე, ნეტავ, ჩვენს ქართულ პრესას ჰქონდეს! ეს მეტადრე „თანამემამულეზე“ ითქმის. მაგრამ...

**მაგრამ, ქართველებო, დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს დამკვიდრებისთვის ბრძოლა და გარჯა საქართველოში ყოფნის პირობებში ჯობს! თორემ, როგორც ეს საქართველოდან წასულ მეტწილ ქართველობას დამართნია, შემდეგ, „რიკ-ფაინის დრო გარდუა, ველარ გაჰკრავს, ჩაჰბილდების“ და „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“ სამშობლოში დაბრუნება უფრო და უფრო გაძნელდება!...**

**მაპატიეთ, არ არის ადვილი სათქმელი, მაგრამ... ასეა.**

**ამირან გაბისონია,**
თბილისელი, საქართველოს მოქალაქე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# მოსკოვი საქართველოში ომს 2004 წლიდან ამზადებდა,

## ამტკიცებს პუტინის ყოფილი მრჩეველი

**გახდება როდისმე ცნობილი მთელი სიმართლე იმ მოვლენებზე, რომლებმაც მიგვიყვანეს რუსეთ-საქართველოს ომთან? გაზეთი გადმოგვცემს რუსი ეკონომისტის ანდრეი ილარიონოვის აზრს, რომელიც კონფლიქტს მიიჩნევს სსრ კავშირის დაშლის მომენტიდან ყველაზე დიდ შერყევად რეგიონში.**

სიტუაციის მისეული ანალიზი ემყარება ორ იდეას: 2004 წლიდან რუსეთი ისწრაფვოდა, თავიდან მოეშორებინა სააკაშვილი, რომელმაც შეძლო ჩაეფუშა რუსეთის სამხედრო გეგმები და მოეგო დრო, როდესაც 7 აგვისტოს თავისი ჯარები გადაისროლა ცხინვალზე იერიშისთვის.

„რუსეთის მიზანი იყო სააკაშვილის ჩამოგდება, თბილისში შესვლა რევოლუციის ან სახელმწიფო გადატრიალების ნილაბქვეშ, რასაც მოჰყვებოდა შეიარაღებული შეტაკებანი. ასეთ სცენარს უკვე ჰქონდა ადგილი კავკასიაში 1990-იან წლებში და უცხოეთში მაშინ ეს თითქმის არავის არ აღელვებდა“, – აღნიშნა ილარიონოვმა გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში და გაიხსენა აზერბაიჯანის 1993 წლის მოვლენები.

სურვილი – თავიდან მოეშორებინა სააკაშვილი, მოსკოვს გაუჩნდა 2004 წელს, როდესაც მან საქართველოს ფარგლებში დააბრუნა აჭარა, შემდეგ კი დაიწყო ეკონომიკური რეფორმები ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების მიზნით. მაშინ რუსეთი შეეცადა საქართველოს მოგუდვას ენერგეტიკისა და ყოველგვარი ემბარგოების საშუალებით.

2008 წლის ზაფხულში, განაგრძობს გამოცემა, მოსკოვმა შეძლო მოედუნებინა დასავლური სპეცსამსახურების სიფხიზლე და თავის მნიშვნელოვან ძალებს თავი მოუყარა სამხრეთ ოსეთის საზღვარზე სამხედრო სწავლების საბაბით. 7 აგვისტოს, ცხინვალზე ჯერ კიდევ ქართულ შეტევამდე, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკვე იმყოფებოდა დაახლოებით 20 ათასი რუსი ჯარისკაცი და ოსი მოლაშქრე (რეზერვისტების ჩათვლითძ და 200 რუსული ტანკი, ამტკიცებს პუტინის ყოფილი მრჩეველი. ქართული არმიის განკარგულებაში იყო სულ 42 ტანკი და 4 ათასი კაცი, ვინაიდან შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი იმყოფებოდა ერაყსა და აფხაზეთის საზღვართან.

როდესაც 7 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა გადადგა პირველი ნაბიჯი, ილარიონოვის აზრით, „გაწირა სამი რამ“: თავისი არმია, თავისი რეპუტაცია და ორი სეპარატისტული რეგიონი. „მაგრამ ერთდროულად სააკაშვილმა სამი რამ მოიგო: ის გადარჩა ცოცხალი, შენარჩუნებული იქნა მისი ხელისუფლების სტრუქტურა, მისი რეფორმები კი ახლა მიიღებენ დასავლეთის სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას“, – მოჰყავს გამოცემას ილარიონოვის ციტატა.

ილარიონოვის სიტყვებით, მოსკოვს დაგეგმილი ჰქონდა თბილისში ხელისუფლების სათავეში დაესვა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი (გაზეთში ასეა მითითებული – რედ.ძ იგორ გიორგაძე, რომელიც რუსეთში გაიქცა. ამ პროექტის ჩავარდნის გამო კრემლი იძულებული იყო, მიემართა სათადარიგო მანევრისთვის, რომელიც მას დიდად არ მოსწონდა, – ეღიარებინა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ილარიონოვი ამტკიცებს, რომ რუსეთის ხელისუფლება გააგრძელებს თავის მცდელობას, გადაწყვიტოს მიხეილ სააკაშვილის ბედი. მაგრამ მთავარი, მისი აზრით, „სუსტი რგოლი“ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ახლა უკრაინა გახდა.

**ნატალი ნუგაირედი**

Le Monde.fr

# მოსკოვის მერი რუსული ნეონაციონალიზმის ექსპორტირებას ეწევა

**„სადავო ქალაქ ცხინვალის უშენ ადგილას, სადაც აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ ბულდოზერებმა დაანგრიეს მტრის სახლები, ამას წინათ იური ლუჟკოვმა პირობა მისცა, რომ ააშენებდა ახალ მიკრორაიონს სამხრეთოსეთელი სეპარატისტებისთვის“,** – წერს კორესპონდენტი კლიფორდ ჯ.ლევი და განაგრძობს, რომ მოსკოვის მერმა იკისრა ვალდებულება, მოსკოვის ბიუჯეტიდან გამოყოს 100 მილიონზე მეტი დოლარი საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სავაჭრო ცენტრების მშენებლობისთვის.

„იური ლუჟკოვი – ეს არის მერი, რომელიც ახორციელებს საკუთარ საგარეო პოლიტიკას“, – გვარწმუნებს გამოცემა. იგი ლუჟკოვს უწოდებს ყოფილ საბჭოთა აპარატჩიკს, რომელსაც სწყურია აღადგინოს რუსეთის რეგიონული ჰეგემონია, მხარს უჭერს ეთნიკურ რუსებს და აღვივებს სეპარატიზმს მომიჯნავე სახელმწიფოებში, რისთვისაც დახარჯა ასობით მილიონი დოლარი თავისი ქალაქის კოლოსალური ბიუჯეტიდან.

გაზეთი მიუთითებს ლუჟკოვის ამბიციურ როლს: როდესაც უცხოელი პროდასავლური მთავრობები აღშფოთებული არიან მისი მადესტაბილიზებელი მოქმედებით, მერი აცხადებს, რომ იგი მხოლოდ ამტკიცებს მოსკოვის ურთიერთობას მოძმე ქალაქებთან, კრემლი კი ამტკიცებს, რომ ლუჟკოვი მოქმედებს, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი და ფილანტროპი.

როგორც გაზეთი იტყობინება, ცხინვალში ლუჟკოვის სახელი უწოდეს ქუჩას, სამაგიეროდ იმ ლიდერებისთვის, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ „ფერადი რევოლუციების“ შედეგად, იგი ოდიოზური ფიგურაა.

გაზეთის აზრით, ლუჟკოვის ნაციონალისტური რწმენა გამოწვეულია სსრ კავშირის დაშლით, ნატოს გაფართოებით და რუსეთის ეკონომიკური პრობლემებით. გამოცემა შეგვახსენებს, რომ 2000 წელს ლუჟკოვი აპირებდა კენჭი ეყარა პრეზიდენტად ნაციონალიზმის პლატფორმით. ის ამჟამადაც ყურადღების ცენტრშია. „რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მას უფრო ხშირად იხსენებენ, ვიდრე სხვა პოლიტიკოსებს, პუტინისა და მედვედევის გარდა“.

გაზეთი დაწვრილებით საუბრობს იმ მატარებელზე, რომელიც ლუჟკოვმა 2005 წლის ივნისში სამხრეთ ოსეთში გაგზავნა: ეს იყო სურსათის, სამედიცინო მოწყობილობის, ამწეკრანებისა და სანაგვე მანქანების პარტია. ქართულმა მხარემ ამ ტვირთს სამხედრო უწოდა. გაზეთი აგრეთვე იტყობინება, რომ ლუჟკოვმა გადაიხადა სამხრეთ ოსეთში სტრატეგიული გზატკეცილის კაპიტალური რემონტის საფასური, აფხაზეთში კი მოსკოვი არის საკურორტო შენობებისა და სხვა უძრავი ობიექტების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მფლობელი.

კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცხინვალში თავის გამოსვლაში ლუჟკოვს არ უხსენებია ქართველები, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი მიწა. ხოლო იმ მიკრორაიონის შესახებ, რომელიც განზრახული აქვს მას რომ ააშენოს თამარაშენში, საუბრობდა, როგორც რუსეთის დახმარების სიმბოლოზე.

გაზეთი დაწვრილებით აშუქებს ლუჟკოვის მოწოდებას რუსეთისთვის ყირიმის მიერთების და მის სამეურნეო საქმიანობის შესახებ ამ რეგიონში.

როგორც გამოცემა იტყობინება, პუტინი საუბრობს რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემის შესახებ, მაგრამ ამ დროს არ ახდენს ყირიმელი სეპარატისტების ან ლუჟკოვის განცხადებათა დეზავუირებას, ხოლო როდესაც მაისში ლუჟკოვს აუკრძალეს უკრაინაში შესვლა, მის დასაცავად გამოვიდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

THE WALL STREET JOURNAL.

# ქართული ოპოზიცია ახალი პრემიერით გაოცებულია

**საქართველოში გამოცხადდა ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის შესახებ. ოპოზიციას ეს მიაჩნია მიხეილ სააკაშვილის მცდელობად, შექმნას ქვეყანაში გარდაქმნების შთაბეჭდილება.**

პრემიერ-მინისტრის პოსტზე სახელმწიფოს მეთაურმა წამოაყენა 35 წლის გრიგოლ მგალობლიშვილის კანდიდატურა, რომელსაც აქამდე ეკავა თურქეთში, ალბანეთში, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში საქართველოს ელჩის თანამდებობა.

როგორც ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურის კორესპონდენტი ქეთი ბოჭორიშვილი იტყობინება თბილისიდან, პარლამენტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე ახალი პრემიერის კანდიდატურის წარდგენის დროს სააკაშვილმა თქვა, რომ მგალობლიშვილი უახლოეს დღეებში ვალდებული იქნება წარმოადგინოს მთავრობის ახალი შემადგენლობა და აწარმოოს კონსულტაციები პარლამენტის ყველა წევრთან, ფრაქციასთან, პოლიტიკურ ჯგუფთან და კომიტეტთან.

„ახალი მთავრობის პარლამენტის წინაშე წარდგენა ადრეც იყო განსაზღვრული, მაგრამ რუსეთის აგრესიის გამო ეს საკითხი გადაიდო უფრო მოგვიანებული დროისთვის“, – თქვა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ ახალი კაბინეტი წარმატებით შეასრულებს რეკონსტრუქციის 18-თვიან გეგმას და დაიწყებს განვითარების 50-თვიანი პროგრამის რეალიზაციას.



ხოლო დახმარებას, რაც გაგვიწიეს საერთაშორისო დონორებმა, სააკაშვილის სიტყვებით, „გაანაწილებენ სწორად და დახარჯავენ ტრანსპარენტულად“.

### ვინ არის მგალობლიშვილი?

გრიგოლ მგალობლიშვილი დაიბადა 1973 წლის 7 ოქტომბერს. 1995 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობით. სწავლობდა თურქულ ენას სტამბოლის უნივერსიტეტში. ამას გარდა ფლობს ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მგალობლიშვილი მუშაობდა საქართველოს სავაჭრო წარმომადგენლობაში თურქეთში. 1996 წელს მიიღო დიპლომატის ჩინი და რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასავლეთ ევროპის ქვეყნების დეპარტამენტში. 1998-დან 2002 წლამდე მუშაობდა საქართველოს საელჩოში თურქეთში, რის შემდეგაც გაემგზავრა ოქსფორდში ერთი წლით სასწავლებლად. 2003 წელს მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა. 2004 წელს დაინიშნა ამ დეპარტამენტის დირექტორად.

### „განუჭვრეტელი“ გადაწყვეტილებანი

ანალიტიკოსები თბილისში მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილების განჭვრეტა და კომენტარები უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო რთული ხდება. ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში გიორგი ხუხაშვილი ამბობს, რომ გრიგოლ მგალობლიშვილის დამსახურებისა და მისი გამოცდილების შესახებ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში თბილისში ჯერჯერობით არავის არაფერი სმენია. მაგრამ პრობლემა ამჟამად არა მხოლოდ და არა იმდენად პიროვნებებშია, იგი სისტემური ხასიათისაა.

### „პარტია მკვეთრად ოპოზიციური იქნება“

ამ დროს პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ გამოაცხადა ახალი პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ შექმნის შესახებ. „საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომებისა და არაადეკვატური ნაბიჯების წყალობით რუსეთმა მიიღო უფრო მეტი, ვიდრე ოცნებობდა. რუსეთის გავლენა რეგიონში გაძლიერდა“, – განაცხადა ბურჯანაძემ. „დემოკრატიული სახელმწიფოს ნაცვლად ჩვენ მივიღეთ ავტორიტარული რეჟიმი. ჩვენი პარტია იქნება მკვეთრად ოპოზიციური“.

### პრეზიდენტობის კანდიდატი?

უკანასკნელ ხანებში საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სულ უფრო ხშირად იტყობინებიან იმის შესახებ, რომ, თითქოს დასავლეთი ამზადებს საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის ცვლას. ამასთან დაკავშირებით ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის შესაძლო კანდიდატად მიიჩნევენ პარლამენტის ექს-სპიკერს.

მაგრამ ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს არა დასავლეთში, მით უმეტეს არა რუსეთში, არამედ თავად საქართველოში.

### რას ვერ იტანს სააკაშვილი?

იგი დარწმუნებულია, რომ „მიხეილ სააკაშვილი როგორც ფლობდა მართვის სადავეებს, ისე ცდილობს შეინარჩუნოს იგი და არავის დაუთმოს. ჩვენ როგორც ვცხოვრობდით ბოლშევიკური წყობილების დროს, ისევე ვცხოვრობთ“, – ამბობს საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი.

გურგენიძის გათავისუფლებაში მან დაინახა საკუთარ სიტუაციასთან მსგავსება. იგი გაათავისუფლეს მინისტრის პოსტიდან მალე მას შემდეგ, რაც ხელი მოაწერა მოსკოვთან ხელშეკრულებას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის შესახებ.

„პრეზიდენტი სააკაშვილი ვერ იტანს, როდესაც ვინმე მის გუნდში აღწევს დიდ შედეგებს. მას სურს, რომ ყველაფერი მასზე იყოს დამოკიდებული და არ ჰქონდეს არავითარი ავტორიტეტი“, – მიაჩნია ზურაბიშვილს.

**ქეთი ბოჭორიშვილი**

BBC RUSSIAN.com

*(რედაქციისაგან: უცხოეთის პრესის მასალები იბეჭდება შემოკლებით).*

პოეზია

თამარ შაიშმელაშვილი

# გათენება ჩოხში

ეძღვნება გოდერძი ჩოხელს

„გოდერძი ცრემლია, რომელიც დაეცა ქართულ მიწას, იგი მწუხარებაც იყო და სიხარულიც."
ილია მეორე,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



ეს გათენება ჩოხში
ჩემს საქართველოს იხსნის,
ვით ანგელოსის კვალი,
იშვა ცრემლიდან სხივი.
ენატრებოდა სივრცე,
ცვარდანამული რომ თრთის,
სულმა შესთხოვა ზეცას
და მოიყვანა თოვლი.
სულ დაეძებდა სიკვდილს
ყველგან, მთასა თუ ბარში,
არ გაიმეტა ზეცამ
თვითმკვლელად დიდი ბავშვი.
ხოლო შეიცნო როცა
მზისა და სიბრძნის არსი,
სიცოცხლე ისე სწყურდა,
ვით იის სუნთქვა ქარში.
მაშინ ამაღლდა ზეცად
თეთრი ღრუბლების მირქმით,
დედამ გაუთბო შუბლი
ჩუმმეამბორე ნისლით...
სევდად უნთია სული
ჟამგადამფრენი მერცხლის...
ჰა, დედამიწავ, შვილი–
გულს დაცემული ცრემლი!
* * *
დუმან ნისლები –
ბედაურები,
ცივია ცრემლი,
გულმოცახცახე,
მზეს ვკარგავ ბინდში
და დიდ სევდაში
ჩასძინებიათ
სამშობლოს ქარებს...
განუქარველი მდევს
კაეშანი,
ვით მოშრიალე
ნუშის სურნელი,
სულს სვეტიცხოვლად
მოვიშროშანებ
და მზით ჩამოვშლი
ბედმშვენ სურვილებს.
დასერილია ელვით
ღრუბლები,
მოვნაღვლიანობ,
მდინარის ღელვა
თბილ ღელეების
ნამღერით
მავსებს
და შეფითრება
მობინდავთ
ნაძვებს...
იძილისშორებს
ჩემი სამშობლო
და დიდ სევდაში
სულს ცისკრად
გაშლის...
მზეს შევთხოვ შორეთს,
ჩუმი შრიალით
ცას უხილავი სარკმელით
ვაღებ!...
* * *
ცა გაზაფხულის სიზმრებში
დამრჩა,
ელვა ანათებს თუ
მზე დამიწდა?
ჩამომწყდომია გულს
გიშრის ჯვარი,
ჩამნაღვლებიხარ შენ,
დედამიწავ...
ცა მაყვლისფერი
ღრუბლებში
რად ჩანს?
და შავ ეკლებით ვინ რთავს
გზაწმინდას?
ჩავეკითხები
ჩემს თავს
ათასჯერ –
ხომ არ ვამძიმებ
ამ დედამიწას
* * *
უსინათლოა ცა.
ბინდი
იმწუხრებს გზებს...
გული გაექცა
ქარს,
მესიმარტოვა მზე.
საღვთისმშობლოა ცა.
სევდა ლურჯ ნათელს
მფენს...
ქარო,
შენს ფიქრად მცან–
ვეძებ
სიცოცხლის ფერს...
* * *
ბედმორიალეს დროის კვართი
გულს მეპურება,
ფრესკის სილურჯე ჩამომდგარა
თან მდევ ურვებად,
ჩემი ცრემლები ისევ სულში
მე მიბრუნდება,
და ცა ვედრებას ნაავდრალი
ნისლში ყრუდ ბედავს...
შენ მოგიგულებ სვენაობლარ
კიბედ ურღვევად,
შემოგეღლები ოკეანის
მთრთოლავ ჩუმ ღელვად,
შემოგევლები უფლისციხის
გულმტრედ ღრუბლებად,
შემოგიობლებ ჩემს თვალებში
მზეალუბლებად...
* * *
მოვიმარტოვე ცისკრით,
სევდა საშენო
გულს შლის,
შორს,
მოხეტებულ
ნისლში
თბილშრიალია ნუშის...
შემოგიხსენი კარი,
სხივნი შემომყვნენ
სულ მზის...
ტკივილად კი არ
გცანი,
ჩამოგეთოვლე
სულში...
ცის ნამწუხარევ თვალებს
ყინვის ნათელიც ერთვის...
ჩამოვიმშვენე თოვლი,
გამოვიბრწყინე
შენთვის...
შუბლგრძნეულია დილა,
დრო უმშვიდესად
მზეს ცრის...
გადამირჩინე სულში
მოიანვარო
ცრემლი...
შენი გულივით მიცემს
ცა
ვერხვშრიალა შუქით...
შემოგაფარებ
მზის ფერს,
ვსახლობ,
ვით სხივი ხნულში.
შენი ცრემლივით
მათბობს
რუ
სიანკარეს რომ შლის,
ყრუ ტკივილივით
არ გთმობ–
ვცოცხლობ,
ვით ია თოვლში!
* * *
გული ღრუბელი
მზის დაღლაში
სიცოცხლის ხმაზე
დაიღუღუნებს...
ღრუბელო, ჩემი
სამშობლოს
ცა(მ)შვიდო
ნაღველო!

# მქონდა სამშობლო

ეს მზემთვლემარე ცრემლია,
დასაბამიდან რომ მდის...
მოიკანკალებს აჩრდილი
თვალდაშრეტილი შორს, მთის...
ქარი კაეშნით სავსეა,
ჩამომიქროლებს მოთქმით...
მქონდა სამშობლო–თვალებში
შებინდებული თოვლით...

* * *
ჩემს დისშვილებს –
ქეთევანს და თორნიკეს

თამაშობს ფიქრი უენო
თელ-ავივსა თუ რომში,
დაგბედებიათ ბავშვობა
ჩვენს სუროგატულ დროში...
სუროგატია ყოველი–
ფერი, ჩუქურთმა, ლექსი,
მარადიული იუდას
ის ოცდაათი ვერცხლიც.
მზის თვალი გდია შარაზე,
გულნასუსხარი შუქში,
ჩასაფრებია მთელ ქალაქს
სუროგატული შური.
პეშვით ცის ნათელს გიგროვებთ
ცრემლმოციაგე ხერთვისს,
სუროგატული სამშობლო
არ მემეტება თქვენთვის!

აქცია

# ხელისუფლება „პავლოვის ძაღლებივით" გვიმეტებს?

*20 ოქტომბრიდან ჩვენი მასმედია მთელი ძალებით შეუდგა წითელა-წითურას აცრების აუცილებლობის პროპაგანდას, ვაქცინა ინდური წარმოებისაა! (მისი მწარმოებელია SERUM INSTITUTE OF INDIA). ვაქცინისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან 1300.000 ლარი გამოიყო.*

## რატომ შეაშინა მოსახლეობა აცრის პირველმა შედეგებმა

**1995-97 წლებში საქართველოში დიფტერიამ იფეთქა. ეპიდემიის ლიკვიდირებისთვის ქვეყანაში შემოიტანეს 3 მლნ დოზა პრეპარატი, რომელიც იმავე ინდური ფირმის მიერ იყო წარმოებული. მაშინ მოხერხდა ვირუსის დამარცხება.**

2004-2005 წლებში საქართველოში წითელას ეპიდემიამ იფეთქა, რომელმაც 8 ათასი ადამიანი დააავადა, 9 კი გარდაიცვალა. მაშინ ინდური პრეპარატი არავის გახსენებია.

ჩვენთან ნებისმიერ ვაქცინაციას, რომელსაც საყოველთაო ხასიათი აქვს, მოსახლეობა სკეპტიკურად უყურებს. ხალხში ვრცელდებოდა და დღესაც ვრცელდება ხმები, რომ ესა თუ ის ვაქცინა სინამდვილეში სულ სხვა გათვლებით იყო შემოტანილი და ქართული გენოფონდის გადაგვარების მიზნებს ემსახურება, მართალია, ეს მოსაზრება გადაჭარბებულია, მაგრამ ხალხის გაოცებას იწვევს ის ფართომასშტაბიანი კამპანია, რაც ხელისუფლებამ ვაქცინაციის წინა პერიოდში გაატარა. განუწყვეტელი რეკლამები, ტრენინგები, რომლებიც დედაქალაქელ მკურნალებთან ერთად ჩაუტარდათ ქვეყნის ყველა რეგიონის ექიმებს და თვით ამ თემით დაინტერესებულ ჟურნალისტებს. მოსახლეობას მიაჩნია, რომ აცრებზე რამდენჯერმე გაკეთებული განცხადებაც საკმარისი იქნებოდა. მსურველები ბავშვებს პირველი დაძახებისთანავე მიიყვანდნენ პოლიკლინიკაში. ამგვარი სიჩქარე და მონდომება ხელისუფლებას მოსახლეობისთვის ბევრ გადაუდებელ (ჯანდაცვის კუთხითაც პრობლემასთან დაკავშირებით რომ გამოეჩინა, ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბევრად უკეთესი იქნებოდა.



იხ. 12 გვ.

ჯანმრთელობა

# თვალი და მაგომელსის სასწაულები

**ყველას ჯვარი გვეწეროს, მაგრამ რომელი ჩვენგანია, რომ ან თავად არ აწუხებდეს მხედველობის პრობლემები, ან მის ახლობლებს... ახლახან ამ საწუხარის მოვლის ისეთ შესაძლებლობას გადავეყარე, რომ საშურად მეჩვენა მკითხველისათვის გაზიარება.**

მეზობელი მყავს ერთი, სათვალიან მამაკაცად რომ მახსოვდა და ისიც მახსოვდა, სიელმე სათვალის „იქითაც" როგორ ემჩნეოდა... ამას წინათ დამემგზავრა და სიხარული ვერ დაფარა, 15 წლის „ოპტიკური" წვალებისა და 3 უშედეგო ოპერაციის მერე თვალის ჩინიც დამიბრუნეს და სიელმეც გამისწორესო. – საიდან, როგორ, ვინ-მეთქი... ასე „გავედი" ექიმ-ოფთალმოლოგ მაკა გოგიაშვილზე...

ქალბატონი მაკა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ, ევროპელ ოფთალმოლოგთა საბჭოს წევრი, 12 გამოგონების ავტორი. სხვათა შორის, ორივე დისერტაცია, საკანდიდატოცა და სადოქტოროც, მოსკოვში დაიცვა და მეცნიერ-ხელმძღვანელად ორივეჯერ მსოფლიოში სახელგანთქმული თვალის მკურნალი, აწ განსვენებული აკადემიკოსი სვიატოსლავ ფიოდოროვი ჰყავდა – თავისთავად ეს ფაქტიც ბევრს მეტყველებს მაკა გოგიაშვილის კვალიფიკაციაზე...

ქალბატონმა მაკამ თავიდანვე „ამიხილა" თვალი თავის პროფესიულ საქმიანობაზე: დაქვეითებული მხედველობის მკურნალობის ის მეთოდი, რომელსაც **მაგომელსი** ვუწოდეთ, **ფიზიოლოგიური,** ანუ **ბუნებრივი** ხერხია; ჩვენ არ შეგვყავს ორგანიზმში წამალი, არ ვაკეთებთ ოპერაციას; თანამედროვე აპარატურის მეშვეობით, რომელიც კანზე ზემოდან დაიდება, ვებრძვით შემდეგ სნეულებებს თვალისას: ნისტაგმი (თვალის ციმციმი), გაზარმაცებული თვალი (ამბლიოპია), ატროფიული და დისტროფიული პროცესები, გლაუკომა, ოპერირებული კატარაქტი და სხვა. ეს ისეთი დაავადებებია, რომელთა განკურნება არსებული მეთოდებით შეუძლებელია. დასანანია, რომ ხსენებული ფიზიოლოგიური თუ ბუნებრივი მეთოდი უცხოეთში უფრო ცნობილია, ვიდრე ჩვენთანო.

**– კი მაგრამ, რატომ არის იქ უფრო ცნობილი, რაში გამოიხატება ბუნებრიობის არსი, ან სახელწოდება „მაგომელსი" საიდან წარმოდგა?**

– მეთოდის პრიორიტეტულობა და ცნობადობა საზღვარგარეთ იმან განაპირობა, რომ უმტკივნეულოა, უსაფრთხო და უვნებელი; რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მიღებული შედეგი სტაბილურია ათეული წლების სიგრძეზე; რადგან ოპერაციას არ მივმართავთ და არც მედიკამენტები შეგვყავს, გამორიცხულია ყოველგვარი რისკი, გვერდითი მოვლენები თუ ალერგია, ეს კი უცხოელ კოლეგებს ერთობ ხიბლავს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ჩვენი მეთოდის გამოყენებით ინკურნება ნისტაგმი, კერატოკონუსი, მრავალჯერადი ოპერირებული სიელმე და სხვა.



„მაგომელსად" მეთოდის მონათვლას რაც შეეხება, ჩემი სახელგვარით მიღებული აბრევიატურითაა შედგენილი და როგორც მეთოდი, დაცულია 12 გამოგონებაზე გაცემული ევროპული, რუსეთული და ქართული პატენტებით.

მისი არსი კი მარტივი გადმოსაცემია: კანის ზემოდან მოთავსებული უახლესი აპარატურა ორგანიზმში აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, იწვევს დადებით ბიოქიმიურ ძვრებს, უჯრედებს უხვად მიაწვდის ჟანგბადს და ააქტიურებს მათს ფუნქციას, ანუ მხედველობას. ეს ყველაფერი განაპირობებს და განმარტავს, თუ ჩვენთან მკურნალობისას რატომ არა აქვს მნიშვნელობა არც პაციენტის ასაკს და არც დაავადების ტიპს ან ხანგრძლივობას.

**– რამდენადაც ვიცი, შაქრიანი დიაბეტის დროს თვალი ხშირად ზიანდება. ასეთ შემთხვევებში თუ ახერხებთ მკურნალობას?**

– ჩვენ დაავადებას კი არა, ავადმყოფს ვმკურნალობთ. იმის თქმა მინდა, რომ მაგომელსის ხერხით მკურნალობისას შედეგი ინდივიდუალურია და დამოკიდებულია არა სნეულების ტიპსა თუ ხანგრძლივობაზე, არამედ პაციენტის ორგანიზმის რესურსებზე, რომელთაც პირველივე ვიზიტის დროს ვავლენთ. ისე, დიაბეტური რეთინოპატიის შემთხვევაშიც სერიოზული მიღწევები შეინიშნება.

**...ისე ეტყობა, მაგომელსი და მისი ავტორი თვალის მკურნალობისას სასწაულებს ჩადიან. ჩემს მეზობელთან ერთად ალბათ მრავალმა განკურნებულმა განიცადა ამ მეთოდით თვალის ხელახალი ახელის სიხარული. ისღა დაგვრჩენია, ასეთი სიხარულის მსურველთა და მომლოდინეთ პროფესორ მაკა გოგიაშვილის კლინიკის კოორდინატები მივაწოდოთ: უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩა №49.**

**თამაზ ეგანოიძე.**

ნარდი

# ჭედილა, ოქროს კამათლები და 120 ქალ-ვაჟი



**თბილისობის ტრადიციულ დღესასწაულს მრავალი სპორტული ღონისძიება მიეძღვნა. გამორჩეული სანახაობა იყო მონარდეთა შეჯიბრება — წინა დღით კუს ტბაზე აღებული სტარტი რიყეზე ფინიშით დამთავრდა. პრიზებისთვის პაექრობაში 120 ქალ-ვაჟი ჩაება. გადამწყვეტი ორთაბრძოლების წინ მოასპარეზეებს ღია ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორის — დედაქალაქის მერიის წარმომადგენლები ეწვივნენ სომეხ სტუმრებთან ერთად. თბილისის პირველმა ვიცე-მერმა, ადმინისტრაციის უფროსმა მამუკა ახვლედიანმა და ვიცე-მერმა ნიკო ხაჩირაშვილმა გამოცდილ მონარდეებთან ძალებიც კი მოსინჯეს.**

დასკვნითი შეხვედრები დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ქალთა ტურნირის ფინალში ლალი ქურციკიძემ ირინე ვაშაყმაძეს სძლია 7:6 და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილებზე თამარ იაშვილი და ლია ადიკაშვილი გავიდნენ.

ქართულ ნარდში უძლიერესი იყო ელგუჯა კალანდარიშვილი. გადამწყვეტი შეხვედრა მან თემურ ცინცაძეს მოუგო და ოქროს მედალთან ერთად ორიგინალური პრიზი — ჭედილა გადაეცა. მესამე ადგილები ვახტანგ ჩიქოვანსა და ირაკლი ფალავას ხვდათ.

გრძელ ნარდში შარშანდელი ტურნირის გამარჯვებულმა და „ოქროს კამათლების“ მფლობელმა ზაზა კაპანაძემ ფინალური პაექრობა დათმო დავით წოწკოლაურთან, რომელსაც ნარდის კომპლექტიც ერგო. მესამე ადგილები ნუგზარ ჯუღელმა და გია კარგაძემ დაიკავეს.

წყვილთა შორის (კონსულტაციებით) საუკეთესოები იყვნენ ანზორ ბაბუხადია და თემურ ქურციკიძე, რომლებმაც ბოლო შეხვედრაში ომარ დვალსა და ვახტანგ ჩიქოვანს მოუგეს და მთავარი პრიზი — „ოქროს კამათლები“ დაიმსახურეს. მესამე ადგილებზე ვახტანგ ცხადაძე-ანზორ გუჯაბიძის და მიხეილ სალაძე-მიხეილ ნიკოლაიშვილის წყვილები გავიდნენ.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

— წლევანდელი ტურნირიც, ტრადიციულად, თბილისის მერიასთან ერთად გავმართეთ, — მითხრა საქართველოს ნარდის ასოციაციის პრეზიდენტმა **თემურ ქურციკიძემ.** — ასპარეზობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი შეჯიბრებები სულ უფრო პოპულარული ხდება. შემჭიდროებული ვადების გამო ამჯერად ყველა მსურველი ვერ დავაკმაყოფილეთ, სამაგიეროდ, გულს არავის დავწყვეტთ უახლოეს პაექრობაზე — დედაქალაქის მთავრობასთან შეთანხმებით, მალე ნარდში თბილისის მერიის თასს გავათამაშებთ, გაისად კი ღია საერთაშორისო ტურნირს გავმართავთ, სადაც მსოფლიოს უძლიერეს მონარდეებს მივიწვევთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველას, განსაკუთრებით მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურს (უფროსი მამუკა ქაცარავა, სპორტის დარგში მოადგილე ზაზა დოლიძე), თანადგომისა და დახმარებისთვის მადლობა გადავუხადო.

იმედია, სხვა შეჯიბრებებიც ასეთივე საინტერესო იქნება.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: ქალთა შორის გამარჯვებულ ლალი ქურციკიძეს პრიზად ტორტიც შეხვდა; ელგუჯა კალანდარიშვილი ჭედილათი; კონსულტაციებით წყვილთა ფინალური პაექრობა. ავტორის ფოტო.**





სეოკი

# ყრილობა არ გადაიდება

**საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ყველაფერი რიგზე რომ ვერ არის, ეს ორი დღის წინათ კიდევ ერთხელ დადასტურდა:** გუშინწინ სეოკის აღმასკომის სხდომა უნდა გამართულიყო, მაგრამ შეკრებაზე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გოგი თოფაძე და პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი არ გამოცხადდნენ, ამიტომ თავყრილობას რამე სერიოზული განცხადება არ მიუღია — უბრალოდ, ითათბირეს და დაიშალნენ. სეოკის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა მასმედიის წარმომადგენლებს აუწყა, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა არ გადაიდება — იგი სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ 31 ოქტომბერს გაიმართება. პრეზიდენტობისთვის ხუთი კანდიდატი იბრძოლებს. ესენი არიან: ლერი ხაბელოვი, გია ნაცვლიშვილი, ბეჟან ხურციძე, კახა ბასილია და ლევან ახვლედიანი.

თავისუფალი ჭიდაობა

# ცხრა მედალი ვანაძორიდან



**სომხეთის ქალაქ ვანაძორში დამთავრდა სტეპან სარქისიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 9 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, მათ შორის 22 ქართველი ფალავანი იყო (მწვრთნელები — მარლენ ოსიყმაშვილი და დავით ხურციაძ. ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ბესიკ გუჩაშვილი (55 კგძ და ნიკოლოზ გაგნიძე (84 კგ.ძ. მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ მალხაზ ზარქუა (60 კგძ და გიორგი ნიკურაძე (მძიმე წონაძ. მესამე ადგილებზე გავიდნენ გიორგი ბალიაშვილი (66 კგძ, გელა საღირაშვილი (74 კგძ, ბელდუხ გავაშელიშვლი, დაჩი ქერაშვილი (ორივე — 96 კგძ და ლაზარე მარსაგიშვილი (მძიმე წონაძ.

ფარიკაობა

# მუშკეტერებმაც იფარიკავეს



**ტრაპიზონში გრძელდება „რესპუბლიკის თასის“ გათამაშება სხვადასხვა ასაკის მოფარიკავეთა შორის.** შეჯიბრებაში ქართველი მუშკეტერებიც მონაწილეობენ. ხმალში ქუთაისელმა მიხეილ მარდალეიშვილმა ოქროს მედალი დაიმსახურა. რუსთაველმა გიორგი ქავთარაძემ დაშნით ფარიკაობისას მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და „ვერცხლის“ დასჯერდა. მესამე ადგილებზე ქუთაისელი ხატია ლელაძე (დაშნაძ და თბილისელი არჩილ უგულავა (რაპირაძ გავიდნენ.

ინტერნეტიდან

## იანკოვიჩი — მსოფლიოში საუკეთესო

**საჩოგბურთო სეზონში მოპოვებული შედეგების მიხედვით 23 წლის სერბი ელენა ივანკოვიჩი დაასახელეს მსოფლიოში წლის საუკეთესო ჩოგბურთელ ქალად. ამაზე გავლენას ვერ მოახდენს წლის დასკვნით ტურნირზე, ის კი 4-9 ნოემბერს დოხაში უნდა გაიმართოს, მოპოვებული შედეგები. ეს საბოლოოდ შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, როცა რუსეთელი დინარა საფინა და ამერიკელი სერენა უილიამსი, რომლებსაც თეორიულად შეეძლოთ ელენას გადასწრება, არ გამოცხადდნენ გასულ კვირაში გამართულ ერთადერთ ტურნირზე WTA Tour.**



შეგახსენებთ, რომ ეს მაღალი წოდება მოპოვებული ჰქონდათ: შტეფი გრაფს — 8-ჯერ, მარტინა ნავრატილოვას — 7-ჯერ, კრის ევერტს — 5-ჯერ, ლინდსეი დევენპორტს — 4-ჯერ, მონიკა სელეშს, მარტინა ჰინგისს, ჟიუსტინ ენენს— 3-ჯერ, სერენა უილიამსს — ერთხელ.

## მარათონელებს ეძებენ

**როგორც კეზიკიდან (დიდი ბრიტანეთიძ იუწყებიან, ინგლისის ჩრდილო-დასავლეთში, ტბების მხარეში მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები იმ ათლეტების საძებნელად, რომლებიც დაიკარგნენ ტრადიციული „სამთო მარათონის“ დროს.** შაბათს ამ ხანგრძლივ გარბენაში სტარტი აიღო 2500-ზე მეტმა სპორტსმენმა. შეჯიბრების მიმდინარეობისას რეგიონს თავს დაატყდა სტიქია — კოკისპირული წვიმა ქარიშხლით, რამაც გამოიწვია წყალდიდობა. ჯერჯერობით უცნობია 41 მარათონელის ბედი.



## ლუდი — წონის მიხედვით

**მართალია, რაც ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, სამ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ არ წყდება საყვარელი გუნდისთვის საჩუქრების ნაკადი. რაც მთავარია, ამ გამარჯვებისთვის დაპირებული 214 ათასი ევროსი, 23 მოთამაშიდან თითოეულს გადაერიცხება ნახევარი მილიონი ევრო. ფეხბურთის ფედერაციამ კი თითოეულ ჩემპიონს ზეთანამედროვე ტელევიზორი გადასცა.**

ფეხბურთელთა წახალისების მრავალ მსურველში გამოირჩევა ესპანური ლუდის მწარმოებელი Cruzcampo — ნაკრების სპონსორი. ნაკრების თითოეულმა მოთამაშემ საჩუქრად მიიღო თავისი წონის ეკვივალენტი ლუდი.



ყველაზე მოგებული აღმოჩნდა ნაკრებისა და „ლივერპულის“ მეკარე პეპე რეინა. ის 95,6 კილოგრამს იწონის. „ვილიარეალის“ ნახევარმცველი სანტი კასორლა კი მხოლოდ 70,4 ლიტრი ლუდით უნდა დაკმაყოფილდეს. საერთო ჯამში ნაკრების მოთამაშეებმა 1742 ლიტრი ლუდი მიიღეს.

## „ვის გინდათ, ვის გინდათ ქალი ლამაზი“...

**როგორც ცნობილი გახდა, სახელგანთქმული და, შეიძლება ითქვას, ყველაზე სასურველი იტალიელი მოდელი და ფეხბურთელების მათაყვანებელ-სათაყვანებელი ელისაბედ კანალისი „თავისუფალია“. დასრულდა მისი ბოლო რომანი „პარმას“ ბრაზილიელ ლეგიონერთან რეჯინალდოსთან.**

კანალისი ხომ ცნობილია თავისი მღელვარე რომანებით იტალიური ფეხბურთის ბევრ ვარსკვლავთან, მათ შორის ბურთის ისეთ ოსტატებთან, როგორებიც არიან კრისტიან ვიერი და დიდიე დროგბა. რეჯინალდოსთან მისი შეხვედრები კი წლეულს, აპრილში დაიწყო.



ამის შემდეგ პრესა რაღას არ წერდა ამ წყვილზე, ძალზე ხშირად რომ იყვნენ ერთად. ლამაზმანის თქმით, არც ქორწილი იყო ცხრა მთას იქით. მაგრამ საქმე იქამდე აღარ მისულა.

პრესა იმასაც წერდა, რომ ქორწილი საეჭვო იყო, რადგან მოუსვენარი კანალისი ბოიფრენდებს ხელთათმანებივით იცვლისო. ჟურნალისტებს გაუმართლდათ კიდეც!

კანალისი ახლა ახალ თაყვანისმცემლებზე ნადირობს. საინტერესოა, ვინ იქნება მისი ახალი რჩეული?

## ენერგომომარაგება

# ჰაიჰარად გაყიდული ენერგორესურსები და ოკუპირებული „თელასი“

### გაზი კიდევ გაქვირდება? კიო, გვაიმედებენ ექსპერტები

**ვიდრე გაზის გაძვირებაზე რამეს ვიტყოდეთ (ყოველ შემთხვევაში მომხმარებლები მაინც არ უნდა ავჩქარდეთ), ალბათ, უპირველესად ის უნდა მოვიხსენიოთ, ამ დღეებში პარლამენტმა დაჩქარებული ტემპით ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი რომ მიიღო. უდავოდ საშური საქმე გაკეთდა. ამის შემდეგ მაინც რუსეთს რა პირი მოუბრუნდება ამტკიცოს — აგრესორი კი არა, მშვიდობისმყოფელი ვარ, საქართველოს ტერიტორიები კი არ დავიპყარი, საკუთარ მოქალაქეთა უფლებები და აფხაზ და ოს სეპარატისტთა დამოუკიდებლობა დავიცავიო. ამტკიცოს და იყოს, აგერ არის კანონი, ჩემო ბატონო, რომელიც აგრესორს ყველა დონეზე ხმას ჩააკმედინებს.**

რუსეთს კი მოაკეტინებ, თანაც როცა ხედავ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა შენ მხარეზეა, მაგრამ როგორ გინდა გადაარწმუნო ურწმუნო საკუთარი ოპოზიცია, რომელსაც დღესაც სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უთაურობის წყალობით თუ ბედოვლათობით ომი წააგო, ადრე დაკარგულ ტერიტორიებს ახალიც მიამატა, უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლიც გაიღო და ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენა. ექსპერტ გია ხუხაშვილს, მაგალითად, ჰგონია, რომ საქართველო რუსეთის მიერ ეკონომიკურად კაიხნის ოკუპირებულია და ეს პროცესი აგვისტოს მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ამის საილუსტრაციოდ მას „თელასის“ მაგალითი მოჰყავს და ამბობს, რომ „საქართველოში ჩატარებული არასწორი პრივატიზაციის წყალობით, ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგება სრულად კონტროლდება კრემლიდან“. როდესაც რუსული ტანკები თბილისისკენ მოემართებოდნენ, აცხადებს ექსპერტი, „დედაქალაქი ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ იყო განათებული. იმ პირობით, როცა რუსეთს „აგრესორს“ ვუწოდებთ და მისი მხრიდან კარგს არაფერს უნდა ველოდეთ, „თელასის“ მფლობელი კვლავ რუსული „რაო ეესია“. ამის გათვალისწინებით, ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის ოპტიმისტური პროგნოზები დამდეგ ზამთართან დაკავშირებით, სრულიად გაუგებარია, — დასძენს გია ხუხაშვილი.

რახან სიტყვა ოკუპირებულ „თელასზე“ ჩამოვარდა, ურიგო არ იქნება სხვა ოკუპირებული ენერგო და სტრატეგიული ობიექტებიც გავიხსენოთ, რომლებიც იმ მოტივით, რომ უცხოელი ინვესტორები ბედსა გვწევდნენ, ხელისუფლებამ ჰაიჰარად მოიცილა თავიდან. აქ ალბათ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ოკუპანტთა შორის მარტო რუსები არ მოიაზრებიან. ალბათ გახსოვთ, პირველი, ვინც „თელასი“ დაისაკუთრა, ამერიკელი ინვესტორი იყო, რომელმაც წლების მანძილზე ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდის პარალელურად სიბნელის სიამოვნებაც გვაწვნევინა. მის დაწყებულ საქმეს სახელოვნად აგრძელებს რუსული „რაო ეესი“, გაზით მომარაგებაში — „ყაზტრანსგაზი“, წყლით უზრუნველყოფაში — შვედური ფირმა, რომლის რეალურ მეპატრონედაც კვლავ რუსული ინვესტიცია მოიაზრება და სხვა მრავალი (ყველას სად ჩამოვთვლით), რომელთა ოკუპაცია უცხოელებმა დაკარგული ტერიტორიებისაგან განსხვავებით, ქართველ ხელისუფალთა დიდი გამჭრიახობისა და მოხერხებულობის წყალობით, უომრადაც შეძლეს (ღმერთისა მადლი, თორემ გამოუვალ კოლაფსში აღმოვჩნდებოდით).

არ მინდა ბატონ კახა ბენდუქიძეს დამსახურება დავუკარგო, თორემ ამ ფაქტს საერთოდ არც გავიხსენებდი. აი იმაზე გეუბნებით, ბატონმა სახელმწიფო მინისტრმა (მაშინ ჯერ არ იყო ჩამოლაბორანტებული) რუსეთისათვის მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვა რომ მოინდომა და არ დაუჯერეს. არადა როგორი ბრძნული არგუმენტაცია ჰქონდა — მილებში მაინც რუსული გაზი მოედინება და რაღა ჩვენ ვურემონტოთ და ფული ვყაროთ, კეთილი ინებოს, გაზსადენი შეისყიდოს და თავის გაფუჭებულ ტრასას თავადვე მიხედოსო. იმის ნაცვლად, რომ ბენდუქიძის აზრი აეტაცათ, რის მომსწრენიც არაერთგზის ვიყავით, მას სიცილი დააყარეს, რითაც საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. ხელისუფლების მხრიდან უფრო დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ რუსეთისთვის ომის დაწყებამდე რკინიგზის მიყიდვა ვერ მოასწრო. არადა ეს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტიც რომ რუსეთის ხელში ყოფილიყო, შეიძლებოდა სულაც რკინიგზის მეშვეობით დავეპყარით და ტანკებითა და ავიაციით აოხრებას გადავრჩენილიყავით.

ახლა როცა ურემი გადაბრუნდა, გზაც გამოჩნდა, მაგრამ მაშინ იმდენად ძნელი იყო ამის განჭვრეტა, რომ შეიძლება ხელისუფლება, თუ მაინც და მაინც რადიკალური ოპოზიციონერი არა ხარ (ისეთი როგორიც ჯონდი ბაღათურიაა), ამისთვის სალანძღავად არც გაიმეტო. მით უფრო, რომ ბოლო პერიოდში მან ბევრი პრაგმატული ნაბიჯი გადადგა. ამის საილუსტრაციოდ იმის გახსენებაც იკმარებს, აჭარაში თურქებს 7 ჰესის მშენებლობის უფლება რომ მიყიდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე აშენებული ჰესების უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორებისათვის კაპიკების ფასად მიყიდვაზე. ახლა იმას არ იკითხავთ, თურქები ჩვენში ჰესებს რა პირობით აშენებენ? მათ მიერ ზამთარში წარმოებული ელექტროენერგიის მხოლოდ 40 პროცენტი დარჩება ქვეყანაში, დანარჩენს კი ისე მოიხმარენ, როგორც თავად მოეპრიანებათ. აგაშენათ ღმერთმა, თურქები ვითომ იმდენად უჭკუოები არიან, ვერ მიხვდნენ, რა უნდა აკეთონ? რა თქმა უნდა, ისინი შეეცდებიან, მთელი გენერირება ზამთრის ნაცვლად სხვა სეზონებზე მოახდინონ და ფაქტობრივად ხელცარიელი დაგვტოვონ. ეს რეალურად უფრო ენერგორესურსების განიავებას ჰგავს, ვიდრე მისი ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენებას.

საერთოდ, აქვს კი ჩვენს ხელისუფლებას შემუშავებული მდიდარი ბუნებრივი ჰიდრორესურსების გონივრულად გამოყენების სტრატეგია? ალბათ ეს კითხვა, არც უნდა დამესვა. ასეთი სტრატეგია რომ ჰქონდეს, მსგავს ლაფსუსებს ხომ აღარც დაუშვებდა (?!). იმის მაგივრად, რომ სახელმწიფომ იზრუნოს ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრეების შემატება-გაფართოებაზე, იგი უფრო მეტად მათი გაყიდვა-გაჩუქებით არის დაკავებული. რა თქმა უნდა, ასეთი ობიექტების პრივატიზების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მას ქვეყნისათვის ზარალი კი არა, სარგებელი უნდა მოჰქონდეს. ჰიდრორესურსი იგივე საბადოა და ის იმავე პირობებით უნდა იყიდებოდეს, როგორც უცხოეთში გაზისა და ნავთობის საბადოები.

სტრატეგიას ვინ ჩივის, ხელისუფლებამ დღემდე სწორი სატარიფო პოლიტიკისთვის თავის მოვლაც კი ვერ მოახერხა. მთელი დუნია რომ შემოიაროთ, ალბათ ვერსად შეხვდებით ელექტროენერგიის ისეთ დაუსაბუთებლად გაბერილ ტარიფებს, როგორიც საქართველოშია, თავად ტარიფის სტრუქტურას არ იკითხავთ? ჩვენს გარდა რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა აზრად, ტარიფში დისტრიბუციის (განაწილების) წილი ორჯერ გაზარდოს, გენერაციისა (წარმოების ხარჯისა) კი მინიმუმამდე შეამციროს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხალისს უკარგავს ელექტროენერგიის მწარმოებელს და გაზრდილი ფულადი შემოსავლებით ასტიმულირებს იმას, ვისაც ეს თანხები სინამდვილეში არ ეკუთვნის. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში აწვება ხელისუფლებისგან სხვა მხრივაც „განებივრებულ“ მეწარმეებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის „მსუყე“ ეკონომიკას.

ამ ეგრეთწოდებულ ეკონომიკაში კი, მოგეხსენებათ, ელექტროენერგიასთან ერთად გაზის ტარიფის წვლილიც საკმაოდ წონადია. და ამ გაჭირვების ჟამს მომხმარებელს, როგორც იტყვიან, „მხსნელად“ მოევლინა „ყაზტრანსგაზი“, რომელმაც მეწარმეებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ყველას, გარდა მოსახლეობისა, პირველი აგვისტოდან კუბმეტრი გაზის ღირებულება 51 თეთრიდან 69 თეთრამდე ისე გაუძვირა, რომ არც ენერგეტიკის სამინისტროსთვის და არც სემეკისთვის არაფერი უკითხავს. უფრო საკვირველი ის გახლავთ, რომ ხსენებული სამინისტროს ხელმძღვანელობა ყაზახი ინვესტორის „ნოვაციით“ კმაყოფილიც კი დარჩა — თურმე ამ ღონისძიების წყალობით საქართველოში, როგორც იქნა, შეიქმნა ნანატრი კონკურენტული გარემო, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს თავად მოიძიოს იაფი გაზის იმპორტიორი.

ვინ შეიძლება წარმოვიდგინოთ იაფი იმპორტიორის როლში, ვითომ რუსული „გაზპრომი“? მანამდე არაფერი ეტკინოს ჩვენს მეოცნებე ხელისუფლებას, ვიდრე „გაზპრომი“ აგვისტოს ამბების შემდეგ ქართველი მომხმარებლების გაჭირვებით გულს აიჩუყებდეს. საერთაშორისო ბაზარზე, ნავთობის ფასის დაცემის მიუხედავად, რუსეთმა ევროპას გაზი 500 დოლარამდე გაუძვირა და ვითომ მტრად შერაცხულ საქართველოს გაუიაფებს?

— გულს ნუ გაიტეხთ, აგერ არის ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი, რომელიც მთელი ზამთრის განმავლობაში იაფ გაზს არ მოგვაკლებსო, — დაიმედა მოსახლეობა გიგი უგულავამ თბილისობის საზეიმო დღეებში. რამდენად წაადგება დედაქალაქის მერის ოპტიმიზმი ჩვენს მოსახლეობას, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ აზერბაიჯანი, რომელსაც რუსეთი კუბმეტრ გაზში 400 დოლარს სთავაზობს, მეზობლების ხათრით ჩვენ 200 დოლარად აღარ მოგვყიდის. ამიტომაც ეკონომიკის ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ დამდეგ ზამთარს ქვეყნის მოსახლეობას გაზის გაზრდილი საფასურის გადახდა მოუწევს. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, განა დრო არ დადგა, რეალურმა საქართველომ (ხალხმა) ვირტუალურ საქართველოს (ხელისუფლების ცრუ დაპირებებს) უფერადსათვალოდ შეხედოს?

**ოთარ ხუციშვილი**



## ინფორმაცია

### მოსკოვში ჩეჩნებმა და ქართველებმა დასცხეს

**მოსკოვში, კიევის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართველებსა და ჩეჩნებს შორის ჩხუბი მოხდა. ამის თაობაზე გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ იუწყება.**

გაზეთის ცნობით, ჩხუბი სავაჭრო-გასართობ ცენტრ „ევროპეისკის“ სათამაშო ავტომატების დარბაზში დაიწყო. როგორც ირკვევა, ჩხუბს რამდენიმე დღით ადრე წინ უსწრებდა 16-17 წლის მოზარდების კამათი, რომელიც ამავე ცენტრში სათამაშო აპარატების გამო მოხდა და კამათის დროს ჩეჩენი ეროვნების ახალგაზრდებმა ქართველებს შეურაცხყოფა მიაყენეს. ამის გამო დაპირისპირებულმა მხარეებმა საქმის გარჩევა უფროსების მონაწილეობით კვირისთვის დანიშნეს.

ჩხუბის შედეგად ერთ-ერთი 20 წლის ჩეჩენი ცივი იარაღით გულმკერდის არეში დაიჭრა, ჩხუბის კიდევ ერთმა მონაწილემ ჭრილობა პნევმატური პისტოლეტიდან მიიღო, ხოლო ერთს ყბა მოტეხეს.

მილიციის მოსვლის დროს ახალგაზრდები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

**ინტერპრესნიუსი**

---

**აბაშის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ჭეშმარიტი მამულიშვილი და პატრიოტი, შესანიშნავი მოქალაქე და მეგობარი, ნიჭიერი ორგანიზატორი და უნარიანი ხელმძღვანელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი**

**გიორგი (გიაძ მეზონია**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**შპს „ენგურჰესის“ სამეთვალყურეო საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი**

**გია მეზონია**

**და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.**

---

**შპს „ენგურჰესის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის**

**გია მეზონიას**

**ტრაგიკულად დაღუპვას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---



**მეუღლე პამირა, შვილები ბადრი, კოკა, ძმა გურამი, სიდედრი პაშა ანჩაბაძე, ცოლისძმა ომარ ეზუგბაია, რძლები მანანა, ლელა, მეგი, მაია, შვილიშვილები ლევანი, მარიამი, თამთა, შალვა, მძახალი თამაზ კურკაციშვილი, შალვა ხარიტონაშვილი, დისწული ეკა, ძმისწული ნინო, ბიძაშვილები დოდო შარია, ზურაბ, გივი სექანიები, მამიდაშვილი გოგო ჯაიანი, დეიდაშვილები გიორგი, არიადნა ვეკუები, ნონა ძაძუა, ომარ, დათო, მარინე, მადონა ჯაიანები, ჯემალ ბზეკალია, კობა ეხვაია, არნოლდ ეზუგბაია, გურამ თოდუა, ზურაბ გერგედავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**დევი აკაკის ძე სექანია**

**პანაშვიდი 29 X, 15 სთ. დაკრძალვა 30 X, 15 სთ. მისამართი: ვუკოლ ბერიძის 6 (ასასვლელი ჩიტაძის ქუჩით, შესასვლელი საგარეო საქმეთა სამინისტროს ეზოს მხრიდან).**

---



**შვილი თემურ სმირნოვი, მეუღლე ბრონისლავი, და ქეთევანი, დისწული ნინო, სიძე სულიკო კალანდაძეები, დეიდა ნადია ბარათაშვილი, ბიცოლები ლამარა, ნელი, ლალა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მანანა აკაკის ასული ფირცხალავა**

**გადმოსვენება მოსკოვიდან: 29 X, დაკრძალვა 30 X, 14 სთ. მისამართი: ქობულეთის ქ. №3/15.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გაზეთის სპორტული განყოფილების ხელმძღვანელს გია პლატონიშვილს მამიდაშვილის**

**მანანა ფირცხალავას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ბიბლიოთეკის გამგეს ქეთინო კალანდაძეს დის**

**მანანა ფირცხალავას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება, რომ ბიოქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელს რუსუდან წერეთელს გარდაეცვალა**

**დედა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ჯემალ რამიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის ჯემალ ენუქიძის შვილის**

**დათოს**

**გარდაცვალებას და ღრმა მწუხარებას გამოხატავს ოჯახის მიმართ.**

აქცია

# ხელისუფლება „პავლოვის ძაღლებივით“ გვიმეტებს?

(მეცხრე გვერდიდან)

სწორედ ეს ბადებდა ეჭვს. მისი გაძლიერების საფუძველი კი გახდა ვაქცინაციის პირველ დღეს აღრიცხული რამდენიმე სავალალო შედეგი 67-ე და მე-5 საჯარო სკოლებში. აცრების შემდეგ რამდენიმე მოსწავლე სკოლის მერხიდან პირდაპირ კლინიკაში გადაიყვანეს. მათ აღენიშნებოდათ პირღებინების შეგრძნება და კიდურების კანკალი.



ჩინოვნიკები ჯანდაცვის სამინისტროდან, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობენ ვაქცინაციის უმოკლეს ვადებში დამთავრებას, მომხდარს ამგვარად ხსნიან:

**ლევან ბაიდოშვილი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა პროფილაქტიკის სამსახურის უფროსი:** ეს იყო აცრის შემდეგ შიშიდან გამომდინარე პანიკური შედეგი. ბატონი ლევანი მოუწოდებს საზოგადოების ინტელექტუალურ და შეგნებულ ფენას, დაუყოვნებლივ აცრან ბავშვები, ისევე როგორც ბაიდოშვილს აუცრია თავისი ორივე შვილი.

დამოუკიდებელი მედიკოსები კი განცვიფრებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ მათი კოლეგები საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან, განსაკუთრებით მაღალჩინოსნები, არაფერს ახსენებენ ინდური ვაქცინის გვერდითა ეფექტებზე. საერთოდ არ ინტერესდებიან, მოზარდს აქვს თუ არა ჩატარებული აცრა. დგება მეორე კითხვაც – რატომ უფრო ადრე არ ჩაატარეს აცრები? ახლა შემოდგომიდან ზამთარზე გარდამავალი პერიოდია, ბავშვები ცივდებიან, ორგანიზმი შედარებით მოსუსტებულია. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს ჯანდაცვის სამინისტროს ნაუცბათევი ორგანიზებულობა უფრო რაოდენობაზეა ორიენტირებული, ვიდრე ხარისხზე – აცხადებენ დამოუკიდებელ (ფასიანძ კლინიკებში დასაქმებული სპეციალისტები.

### უკრაინამ ვაქცინაცია შეაჩერა

**საინტერესოა, რომ უკრაინაში ვაქცინაცია იმავე ინდური პრეპარატით ჩატარდა, რითაც ჩვენში. ადგილობრივი პედიატრები გაოცებულნი იყვნენ იმით, რომ ქვეყანაში ვაქცინაცია ტარდებოდა მაისში, მაშინ, როდესაც მოზარდის იმუნიტეტი შედარებით მოსუსტებულია, ბავშვები ხშირად ცივდებიან და ა. შ. უკრაინაშიც, ისევე როგორც ჩვენთან, ვაქცინაციას ნაუცბათევი სახე მიეცა. ის 10-15 დღეში უნდა დამთავრებულიყო.**

ვაქცინაცია დაიწყო ქ. დონეცკსა და მის ოლქში და რამდენიმე დღეში შეჩერდა. მიზეზი დონეცკელი მეთერთმეტეკლასელის ანტონ ტიშჩენკოს გარდაცვალება გახდა. ამავე პერიოდში, 87 ბავშვი სხვადასხვა საავადმყოფოში აღმოჩნდა.

როგორც კი საგანგაშო სიგნალი გახმაურდა, უკრაინის ჯანდაცვის სამინისტრომ სასწრაფოდ შეცვალა მუშაობის სტილი და აცრების ნებაყოფლობითობა გამოაცხადა. სკოლებში ბავშვებს დაურიგეს ბლანკები, რომელზეც მშობლებს უნდა მოეწერათ ხელი. უნდა დაედასტურებინათ აცრებზე თანხმობა. თუმცა, როგორც ჩვენთან, უკრაინაშიც, არაფერი იყო ნათქვამი ვაქცინის გვერდითი ეფექტების შესახებ. ბლანკები მას შემდეგ დაარიგეს, რაც პრეზიდენტმა იუშჩენკომ მოითხოვა, აცრები ნებაყოფლობით ჩატარებულიყო.

მძიმე შედეგების შემდეგ იუშჩენკოს სპეციალური ბრძანებით აცრები შეჩერდა. უფრო მეტიც, პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომ უკრაინის სამართალდამცავებმა, მათ შორის გენერალურმა პროკურატურამ, ვაქცინის ქვეყანაში შემოტანის მექანიზმი გამოიკვლიონ.

როგორც უკრაინელი სამართალდამცავები ეჭვობენ (მათ ქართველი ექსპერტებიც ეთანხმებიანძ, ვაქცინაციაში ძალიან დიდი ფულია ჩადებული. არ არის გამორიცხული, რომ კვალი მსოფლიოს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალ ჩინოსნებამდე მივიდეს. ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ინდური პრეპარატის 90 პროცენტი უშუალოდ დსთ-ს ქვეყნებისთვისაა გამოყოფილი. თუ გავითვალისწინებთ, რა თანხები იყოფა ბიუჯეტიდან ვაქცინაციის ორგანიზებულად და სწრაფად ჩატარებისთვის, ადვილი მისახვედრია ადგილობრივი და მსოფლიო ჯანდაცვის მთელ რიგ ხელმძღვანელთა ინტერესების თანხვედრა.

საინტერესოა, გასწირავს თუ არა ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს „პავლოვის ძაღლებივით“, არ დაელოდება მძიმე შედეგებს და უკრაინის მაგალითისამებრ შეაჩერებს ვაქცინაციას?

**ზაზა ბილიხოძე**

მხარე

## იუბილეს მიეძღვნა

**სამოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომში კავკასიისთვის ბრძოლა საბჭოთა ჯარების გამარჯვებით დამთავრდა. მაშინდელ ქარცეცხლში მრავალმა ქართველმა მეომარმა მიიღო მონაწილეობა და თავიც გასწირა. მათ შორის სენაკელებიც იყვნენ. ამ თარიღის აღსანიშნავად რაიონის ომისა და შრომის ვეტერანებმა თავი მოიყარეს ქალაქის ცენტრალურ პარკში, სადაც ყვავილებით შეამკეს ეროვნული გმირის ქიული შარტავას და საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე წურწუმიას ბიუსტები.**

შეკრებილთა წინაშე მოგონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ მამანტი ქვარცხავა, ლარისა გოგუა, ციური ხორავა, გრიალა ანთია, გრიგოლ ჯინორიძე, ეფრემ საჯაია, გიორგი გარუჩავა, მარინე აბრამია და ეკატერინე გაბრავა.

ლონისძიებაში მრავალპროფილიანი სკოლა „ალბიონის“ მოსწავლეებიც (პედაგოგები – ბორის დავითაია, ცაცა პაპასკირიძ მონაწილეობდნენ.

**იოსებ გოგეჩია,**
„სრ“ საკ. კორ.

ინფორმაცია

## პატარკაციშვილის ქვრივი „იმედს“ ხალხს დაუბრუნებს

**გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ტელეკომპანია „იმედის“ და მთაწმინდის პარკის დასაბრუნებლად ბრძოლას აგრძელებს. ბადრი პატარკაციშვილის ქვრივმა ინა გუდავაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ის მოვალეა, ყველაფერი გააკეთოს, რათა ტელეკომპანია „იმედი“ ხალხს დაუბრუნდეს.**

– ბადრიმ „იმედი“ იმისთვის შექმნა, რომ საქართველოში დამოუკიდებელი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ყოფილიყო. მაშინაც კი, როდესაც „იმედის“ სანაცვლოდ უამრავი ფული შესთავაზეს, მან პროექტის გაგრძელება ამჯობინა.

როდესაც „იმედს“ დავიბრუნებთ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ტელევიზია საქართველოს მოემსახუროს. იყოს ახალი ამბების თავისუფალი და დაბალანსებული წყარო, – განაცხადა ინა გუდავაძემ.

ბადრი პატარკაციშვილის ქვრივმა განმარტა, რომ ის პოლიტიკოსი არ არის და „იმედის“ დაბრუნებასთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებული განცხადება პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებს.

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის მიერ ტელეკომპანია „იმედის“ დაბრუნების შემთხვევაში, პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე მზად არის ტელეკომპანიის პროფესიონალებით დაკომპლექტების პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს.

რაც შეეხება მთაწმინდის პარკის დაბრუნების საკითხს, ინა გუდავაძის განცხადებით, პარკი უფუნქციოდ არის დატოვებული და თითქმის განადგურებულია.

– კარგად მესმის, რომ „იმედისა“ და მთაწმინდის პარკის დაბრუნება იოლი არ იქნება, მაგრამ მე და ჩემი ოჯახი აუცილებლად მივაღწევთ ამ მიზანს. იმის მიუხედავად, თუ რამდენად რთული იქნება ეს.

იმ ტყუილისა და ფალსიფიკაციის გამო, რომელიც „იმედის“ ხელში ჩასაგდებად გამოიყენეს, ჩვენ უკვე შეტანილი გვაქვს საქმე სასამართლოში. ჩვენ გავაგრძელებთ სამართლებრივ ბრძოლას ხელისუფლების მიერ მთაწმინდის პარკის უკანონო კონფისკაციის გამო. ფაქტები ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს და დარწმუნებული ვართ, რომ სამართლიანობა იზეიმებს, – განაცხადა გუდავაძემ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ანეკდოტები

– თუ იტყვით, სად დამალეთ მოპარული ფული, სასჯელი შეგიმსუბუქდებათ.
– მაგრამ, ბატონო მოსამართლევ, ეს ხომ წმინდა წყლის გამოძალვაა!

* * *



– რით შეგიძლიათ მოწმეთა ჩვენებების გაბათილება? – ეკითხება მოსამართლე ბრალდებულს.
– ასე უცებ ვერ გეტყვით, დრო მჭირდება.
– კარგი. ხუთი წუთი გეყოფათ?

* * *

– ნუთუ თქვენს მოხუც დედაზე არ ფიქრობდით, როდესაც ქურდობდით?
– ცხადია, ვფიქრობდი, ბატონო მოსამართლევ, მაგრამ მისი შესაფერისი ნივთი იქ ვერაფერი ვნახე.

* * *

– ბატონო მოსამართლევ, ეს უსამართლობაა. შარშან, როდესაც ჩემს მეზობელს ღორი ვუწოდე, 200 ფრანკით დამაჯარიმეთ, ახლა კი ამისთვის 500 ფრანკის გადახდას მაკისრებთ.
– ვწუხვარ, მაგრამ შარშანდელს მერე ღორის ხორცი ძალიან გაძვირდა.

* * *

– იქნებ, ბრალდებულმა ვირი უეცარი აღელვებისას გიწოდათ?
– არა, ბატონო! სანამ ვირს მიწოდებდა, მანამ დიდხანს ყურადღებით მათვალიერებდა.

* * *

– რამდენი წლის ბრძანდებით? – ეკითხება მოსამართლე მოწმე ქალს.
– ახლახან ოცდაათს მივუახლოვდი, – კეკლუცად უპასუხებს იგი.
– კი, მაგრამ ასე ძალიან რამ დაგაყოვნათ გზაში?

* * *

– ვწუხვარ, ბატონო მოსამართლევ, რომ მართლაც ვიყავი დაჩოქილი შუა ტრასაზე, მაგრამ ეს სულაც არ ამტკიცებს ჩემს სიმთვრალეს.
– კარგით, მაგრამ იმას რით ახსნით, რომ ტრასის გამყოფი თეთრი ზოლის აკეცვასა და მანქანაში ჩატენვას ცდილობდით?

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო
ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.